საბჭო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 12 (268). გამოცემის მე-15 წელი

1971 წლის 25 ივნისი

მასპინძლობა ესტონეთში

საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდ ოჯახში კარგი ტრადიცია დამკვიდრდა — ერთმანეთთან სტუმრობა, ერთმანეთის წარსულისა თუ დღევანდელი დღის, ხელოვნებისა თუ მეცნიერების მიღწევათა უშუალო გაცნობა კიდევ უფრო ურღვევს ხდის მეგობრობას, დიდმა ოქტომბერმა რომ ჩაუყარა საფუძველი.

აი ახლაც ქართული კულტურის საუკეთესო წარმომადგენლებს მოძმე ესტონეთი მასპინძლობს.

— ათასობით კილომეტრი გვაშორებს, თქვენ სამხრეთელებს გეძახიან, ჩვენ კი ჩრდილოეთის მცხოვრებლებს, მაგრამ ძმებივით გვიყვარს ერთმანეთი, შეხვედრას ყოველთვის მოუთმენლად ველით. კეთილი იყოს თქვენი სტუმრობა, ძვირფასო მეგობრებო!— ამ სიტყვებით შეეგება 23 ივნისს ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებს სტუმართმოყვარე ესტონეთი.

მოხდა ისე, რომ იმ დღეს ტალინში თბილისური სითბო იდგა, ეს კი ესტონელებს ერთი-ორად ახარებდათ. სტუმართმოყვარეობის წესის თანახმად, მასპინძლებმა მზის მცხუნვარება სტუმრების ჩამოტანილ სიკეთეს მიაწერეს. მზის ჩატანისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ქართველმა მოცეკვავეებმა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტების ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით, ისეთი ცეცხლი დაანთეს საქართველოს კულტურის დღეების გახსნის შემდეგ გამართულ პირველსავე კონცერტზე, რომ უზარმაზარი დარბაზი ტაშისაგან ზანზარებდა.

ესტონეთში გაეცნობიან აგრეთვე ჩვენი ხალხის მუსიკალურ, სასიმღერო და სახვით ხელოვნებას.

რესპუბლიკაში, სადაც უყვართ და თავიანთ დედაენაზე კითხულობენ შოთა რუსთაველს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, ვაჟა-ფშაველას, ილია ჭავჭავაძეს, კონსტანტინე გამსახურდიას, საქართველოს დღეები უდიდეს ზეიმად იქცა.

მეგობრობისა და ძმობის დღესასწაული რამდენსამე დღეს გასტანს.

საბჭოთა დემოკრატიის ზეიმი

1971 წლის 13 ივნისს გაიმართა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოსა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები.

არჩევნები დაიწყო 6 საათზე და დამთავრდა საღამოს 10 საათზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის შექმნილი იყო 400 საარჩევნო ოლქი. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2.821.713 კაცმა, ანუ ამომრჩეველთა 99,99 პროცენტმა. დეპუტატობის კანდიდატთა წინააღმდეგ ხმა მისცა 190 კაცმა, ანუ 0,01 პროცენტმა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ყველა კანდიდატმა, რომლებიც კენჭს იყრიდნენ 400 საარჩევნო ოლქში, ხმის აბსოლუტური უმრავლესობა მიიღო და „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 93-ე მუხლის შესაბამისად არჩეულია დეპუტატად.

ამომრჩეველთა დიდი აქტივობით მოეწყო აგრეთვე ადგილობრივი საბჭოების არჩევნები. სულ ადგილობრივ საბჭოებში არჩეულია 48.887 დეპუტატი.

ფრენა წარმატებით გრძელდება

თითქმის სამი კვირაა, რაც სამეცნიერო ორბიტული სადგური „სალუტი“ წარმატებით განაგრძობს კოსმოსში ფრენას.

22 ივნისის მონაცემებით „სალუტმა“ 1039-ჯერ შემოუფრინა დედამიწას. აქედან 245-ჯერ ეკიპაჟთან ერთად.

როგორც ფრენის მართვის ცენტრიდან გადმოსცემენ, კოსმონავტები თავს ჩინებულად გრძნობენ, ასრულებენ პროგრამით დასახულ სამუშაოებს.

კავშირგაბმულობის სეანსების დროს სამეცნიერო სადგურის ეკიპაჟი აწყობს რადიო და სატელევიზიო რეპორტაჟებს, დაწერილებით აღწერს ორბიტული სადგურის მოწყობილობისა და მეცნიერული აპარატების მუშაობას.

კოსმონავტები გადმოსცემენ აგრეთვე დედამიწის ზედაპირის სხვადასხვა მეტეოროლოგიური მოვლენის დაკვირვებას.

სამეცნიერო სადგურის „სალუტის“ ფრენა წარმატებით გრძელდება.



რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახალხო მხატვარი ელენე ახვლედიანი

ალექსანდრე სარიშვილის ფოტო.

ჩვენი კორესპონდენტის ლია მიქაძის წერილს ელენე ახვლედიანის შესახებ ვაიკითხავთ მე-3 გვერდზე.

ფსიქოლოგთა დიდი ფორუმი

21 ივნისს თბილისში მუშაობას შეუდგა ფსიქოლოგთა IV სრულიად საკავშირო ყრილობა. იგი მოეწყო საბჭოთა კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის, ფსიქოლოგთა სრულიად საკავშირო საზოგადოების, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ინიციატივით.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა 700-ზე მეტი ფსიქოლოგი-მეცნიერი, აგრეთვე ამ მეცნიერების მონათესავე პროფესიების — პედაგოგიკის, ფილოსოფიის, სოციოლოგიის, ფიზიოლოგიის, კიბერნეტიკის წარმომადგენლები.

საპატიო სტუმრებად ამ დიდ ფორუმზე მოწვეულები იყვნენ საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების ცნობილი ფსიქოლოგები.

ოთხი დღის განმავლობაში 26 სიმპოზიუმსა და თემატურ სხდომაზე ფსიქოლოგებმა განიხილეს ისეთი აქტუალური პრობლემები, როგორიც არის ტექნიკურ პროგრესთან და წარმოების მართვასთან ფსიქოლოგიის ურთიერთობა, შეგნება და საქმიანობა, მოსწავლის პიროვნების ჩამოყალიბება, გონებრივი განვითარების დიაგნოსტიკა, სოციალური ფსიქოლოგია და დიფერენციული ფსიქოფიზიოლოგია, პიროვნება და მისი შესწავლის მეთოდები, მათემატიკური ფსიქოლოგია და სხვა.



მკა გაჩაღდა

ახლა აღმოსავლეთ საქართველოს ველ-მინდვრებში დიდი შრომითი დღეებია — დაიწყო პურეულის მკა. მინდვრის ხომალდები, როგორც კომბაინებს სიყვარულით ეძახიან, დღედაღამ შეუჩერებლივ გუგუნებენ, მკიან მშრომელი კაცის ნაამაგარს, მექანიზატორები ცდილობენ უდანაკარგოდ აიღონ და დააბინაონ მოსავალი, შეაგროვონ და დაზვინონ ნამჯა.

ზემო მაჩხაანის, არბოშიკის, ზემო ქედის, ქვემო ქედის, არხილოსკალოს, ჯაფარიძის, ტიბაანის კოლმეურნეობებში მკა გაჩაღდა.

სურათზე: მოსავლის აღება წითელი წყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობაში

სახელმწიფო პრემიის ლაურეატები



ეს საიუბილეო წელი განსაკუთრებით ღირსახსოვარი გამოდგა ქართველი გეოგრაფებისათვის. დიდი ეროვნული განძის — „საქართველოს სსრ ატლასის“ ავტორთა ერთ ჯგუფს 1971 წლის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მიენიჭა. ლაურეატთა შორის არიან: აკადემიკოსი ალექსანდრე ჯავახიშვილი, აკადემიკოსი თეოფანე დავითაია, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე ასლანიკაშვილი, პროფესორი გიორგი გველესიანი, პროფესორი ვახტანგ ჯაოშვილი, პროფესორი ლევ ვლადიმიროვი და დოცენტი მიტროფანე კორძახია (სიკვდილის შემდეგ).

საქართველოს ატლასი წარმოადგენს სამეცნიერო ხასიათის პირველ კომპლექსურ კარტოგრაფიულ ნაწარმოებს, რესპუბლიკის პირველ კარტოგრაფიულ ენციკლოპედიას. იგი დიდ დახმარებას გაუწევს ყველას, ვინც ჩვენი რესპუბლიკის ბუნებით, საწარმოო ძალებით, კულტურით, მეურნეობითა და ისტორიით არის დაინტერესებული.

საქართველო ტერიტორიულად შედარებით პატარა ქვეყანაა, მაგრამ მეტად მრავალფეროვანი და კონტრასტული ბუნების ქვეყანა. ქვეყნის ბუნებრივი სამდიდრე, მოსახლეობა, მეურნეობა, კულტურული ცხოვრება და ისტორია წარმოდგენილია ატლასის 269 გვერდზე რუკების, დიაგრამების და გრაფიკების სახით. ყოველ მათგანს დართული აქვს განმარტებითი ტექსტები.

პირველწყაროებზე დამყარებული კომპლექსური ეროვნული ატლასის შექმნა მრავალმხრივ მეცნიერულ კვლევას მოითხოვს. იგი საჭიროებს მეცნიერების მრავალი დარგის ერთობლივ და კოორდინირებულ თანამშრომლობას. საქართველოს სსრ ატლასის მეცნიერული შინაარსის შედგენასა და დამუშავებაში მონაწილეობდა რესპუბლიკის ოცდახუთზე მეტი ინსტიტუტი, სამეცნიერო დაწესებულება და უწყება. ავტორთა კოლექტივის სახახელოდ უნდა ითქვას, რომ ატლასზე მუშაობის დროს შემუშავდა კარტოგრაფიის კონცეფცია, რომელიც შეიცავს ამ მიცნიერების ახლებურ გაგებას, პრინციპულად განსხვავებულს ტრადიციულისაგან.

ატლასის შექმნას საერთო ხელმძღვანელობას უწევდნენ სარედაქციო კოლეგია აკადემიკოს გიორგი ძოწენიძის ხელმძღვანელობით და სამეცნიერო სარედაქციო საბჭო აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. ატლასის ავტორთა კოლექტივში შედიოდა 79 მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. მათ გარდა ატლასის შედგენა-გამოცემაში მონაწილეობდა 35 სპეციალისტი როგორც სამეცნიერო რეცენზენტი, მათ შორის ისეთი სახელმოხვეჭილი მეცნიერები, როგორებიც არიან აკადემიკოსები პეტრე გამყრელიძე, ნიკო კეცხოველი, მიხეილ საბაშვილი, ვასილ გულისაშვილი, პაატა გუგუშვილი და სხვები. ეს დიდი კოლექტიური მუშაობა განხორციელდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში, ამავე, ინსტიტუტის დირექტორის აკადემიკოს თეოფანე დავითაიას ხელმძღვანელობით.

ატლასის ღირსებებზე ძალიან ბევრი დაიწერა. რეცენზიები გამოქვეყნდა როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო და უცხოეთის სპეციალურ გამოცემებში. ალბათ, ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის საინტერესო იქნება გავაცნოთ, თუ როგორ შეაფასეს საქართველოს ატლასი მსოფლიო საზეიმო მეცნიერებმა. აი ზოგიერთი მათგანი:

ნიკოლოზ მუსხელიშვილი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი. „საქართველოს სსრ ატლასი კომპლექსური შინაარსის უდიდესი კარტოგრაფიული ნაწარმოებია. აქ ასახულია ქართული მეცნიერების მიღწევები ბუნებრივი რესურსების კვლევაში, აგრეთვე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის განვითარებაში მომხდარი უდიდესი გარდაქმნები. ატლასი შედგენილია ზალალ მეცნიერულ დონეზე და გამოცემულია საუცხოო პოლიგრაფიული გაფორმებით“.

პროფესორი ლიუარენს დალი სტემპი — დიდი ბრიტანეთის სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი. „დიდი სიამოვნებით მივიღე თქვენი შესანიშნავი ატლასი. ეს მართლაც რომ ბრწყინვალე ნამუშევარია და საუცხოო ნიმუშია სხვა ქვეყნებისათვის. ყველა ჩვენგანისათვის შესაშურია ის საშუალებები, რომელთაც თქვენ ფლობთ ამ მშვენიერი და ასე საუკეთესოდ გამოცემული ნაწარმოების შესაქმნელად“.

რიპარდო რიპარდი — ცნობილი იტალიელი კარტოგრაფი. „ამ ნაშრომის მეცნიერული დამუშავების ზედმიწევნითი სიზუსტე შესამჩნევია შესანიშნავ ტექნიკურ შესრულებასთან, რის შედეგადაც საქართველოს სსრ ატლასი წარმოადგენს კარტოგრაფიული ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშს, რომელიც სავსებით შეეფერება ქვეყანას, რომელიც უდაოდ ერთ-ერთი ულამაზესი და საინტერესოა მთელ მსოფლიოში“.

ჯუმბერ ჯიშკარიანი,
ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელი

კარტოგრაფიული ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუში

სახელმწიფო პრემიის ლაურეატები

პირველი ცდა

ქართველოს გეოგრაფებმა შეადგინეს რესპუბლიკის დაწვრილებითი ლანდშაფტური რუკა. ეს არის საბჭოთა კავშირში ამგვარი რუკის შედგენის პირველი ცდა.

საქართველოს რუკა (მასშტაბი 1:600000) არის გეოგრაფთა ეროვნული სკოლის მიღწევათა სინთეზი რესპუბლიკის გეომორფოლოგიის, კლიმატოლოგიის, ჰიდროლოგიის, გეობოტანიკისა და ნიადაგის შესწავლის საქმეში.

რუკას თან ახლავს საქართველოს ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონების შედარებით მცირე მასშტაბის სქემა და მოკლე ახსნა-განმარტება.

საქართველოს ლანდშაფტურ რუკას საუკეთესო შეფასება მისცეს თვალსაჩინო საბჭოთა გეოგრაფებმა, რუკის ექსპერტებმა ითხოვეს საზღვარგარეთელმა სპეციალისტებმა.

ზესტაფონის მარკით

ზესტაფონში დამზადებული პროდუქცია დღეს მსოფლიოს 45 ქვეყანაში გადის.

ზესტაფონურ ფეროშენადნობებს იღებენ ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, გერმანიის დემოკრატიული და ფედერაციული რესპუბლიკები, არაბეთი, თურქეთი, ინდოეთი, ირანი, იუგოსლავია, პოლონეთი და სხვა ქვეყნები.

ზესტაფონელ მეკაბელეთა ნახელავს იცნობენ სირიაში, კუბაში, იაპონიაში, მსოფლიოს ოცზე მეტ სახელმწიფოში.

ზესტაფონის ღვინის ქარხნებში ჩამოსხმული პროდუქცია ამშვენებს თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მშრომელთა სუფრას. ამ ქარხნის ღვინოები იგზავნება აგრეთვე ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, კუბაში...

დიდი მოწონება

მოსკოვის ერთ-ერთ უღამაზეს პარკში, რომელიც „სოკოლნიკის“ სახელს ატარებს, რამდენიმე დღის წინათ საზეიმოდ დაიხურა საერთაშორისო გამოფენა „ინტორგმაშ-71“. გამოფენაში მონაწილეობდა მსოფლიოს 23 ქვეყანა, 700 სავაჭრო ფირმა. ამათგან ყველაზე დიდი და მრავალფეროვანი იყო საბჭოთა ექსპოზიცია.

საბჭოთა პავილიონის ერთი დარბაზი დაეთმო ორ მოძმე საბჭოთა რესპუბლიკას — საქართველოსა და ესტონეთს (გამოფენაზე სხვა რესპუბლიკები მონაწილეობას არ იღებდნენ).

ესტონეთმა წარმოადგინა ევროპული ტიპის ბარი, საქართველომ ქართული კაფე-ბარი.

ჩვენს კაფე-ბარში სალხის ტალღას ბოლო არ უჩანდა. გრძნობით სავსე ჩანაწერებია შთაბეჭდილებათა წიგნში რუსულ, უკრაინულ, ფრანგულ, ინგლისურ, იაპონურ და გერმანულ ენებზე.

აი რას წერდა გაზეთი „მოსკოვსკაია პრავდა“: „ძალიან ძნელია დაფარო აღტაცება და სიხარული, როცა ქართულ კაფე-ბარში მოხვდები. მხატვრული გაფორმების დიდი კულტურა, ფერების საოცარი შეხამება, ქართული ეროვნული სურნელი, რომელიც ასე უხვად არის აქ დაფრქვეული, ქმნის განუმეორებელ ოჯახურ მყუდროებასა და სილამაზეს“.

მართლაც, ბარში უხვად იყო გამოყენებული ქართული კერამიკა, ქართული ქვის ნაკეთობა, წყალტუბოს ბალნეოლოგიური კურორტის მინერალური წყლის ავზები, ქართული ღვინის ბოთლები და ჭიქები.

ბარის შეძენის სურვილი გამოთქვეს იუგოსლავიის, ფინეთის, შვეიცარიის და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა.

ამის გარდა, ქართული კაფე-ბარი მიიწვიეს ქალაქ კელნის დიდ სავაჭრო საერთაშორისო გამოფენაზე, რომელსაც „რაციო-72“ ეწოდება, და პარიზში — ავეჯისა და რესტორნების გამოფენაზე.

გერმანიაში გამოიცა

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამომცემლობა „ფოლკ უნდ ველტმა“ გამოაქვეყნა სიმონ ჩიქოვანის ლექსების კრებული, რომელშიც შესულია პოეტის ორმოცი ლექსი. ლექსები ცნობილმა გერმანელმა პოეტებმა თარგმნეს. წიგნს ერთვის ბოლოსიტყვაობა და კომენტარები. კრებული შეადგინა და გამოცემას უხელმძღვანელა მწერალმა ნოდარ რუხაძემ. წიგნის რედაქტორია ილზე კრეციგი.

ფირფიტა ქართული მელოდიებით

„აღმოსავლეთის მუსიკალურ ანთოლოგიას“, რომელიც იუნესკოს პატრონაჟით გამოდის პარიზში, შეემატა კიდევ ერთი ფირფიტა. ეს არის ქართული ხალხური სიმღერები, ცეკვები, რომლებიც ჩაწერილია ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში.


მშვიდობის კონვაქვები

23 ივნისს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა შალვა კიკნაძემ მიიღო ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების ტიროლის სამხარეო ორგანიზაციის დელეგაცია.

დარბაზობაზე იყვნენ ტიროლის სამხარეო მთავრობის მეთაურის მოადგილე ფრიც პრიორი, ამავე მთავრობის სამხარეო სამმართველოს დირექტორის მოადგილე რიხარდ პოკორნი და ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების ტიროლის სამხარეო ორგანიზაციის მდივანი ფრანც ელერი, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი გიორგი ჯიბლაძე, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე გივი მელაძე და სხვები.

მასპინძლებმა მათ გააცნეს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს მთავრობის სტრუქტურა. სტუმრები დაინტერესდნენ აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის ენერგეტიკის განვითარებით, სახალხო განათლების განვითარებით ძნელმისაღწომ რაიონებში.

სტუმრები ეცნობიან თბილისის ღირსშესანიშნაობებს. იყვნენ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.



სურათზე: თევზსაჭერი გემი „შოთა რუსთაველი“ მშობლიურ ნაპირებთან

იქ, აფრიკის ნაპირებთან...

სამრეწველო ფლოტის შექმნისთანავე თევზსაჭერი გემებიც ქართველი სპეციალისტებით დაკომპლექტდა. ახლა ყველასათვის კარგად არის ცნობილი გემის კაპიტნების — ჯემალ გაგუას, ვახტანგ ჭყონიას, გენადი კაჭარავას, გივი გურგენიძის, ჯემალ ლაბაძის სახელები.

ნათქვამია: მეთევზე ორჯერ მეზღვაურიაო, და მართლაც, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს, თუ როგორ შრომობენ თევზსაჭერი გემის მეზღვაურები, თუ როგორ უყვართ მათ ზღვა, როგორ ახარებთ შინ დაბრუნება, ხოლო შინ ყოფნისას როგორ ენატრებათ ტალღების ხმაური, დამეთანხმებით, ამ ადამიანებმა შრომა, მეგობრობა და ზღვის სიყვარული სხვებზე უკეთ, სხვებზე ლამაზად იციან.

ქართველი მეთევზეები წელიწადში თითქმის ერთ მილიონზე მეტ ცენტნერ თევზს იჭერენ. მომავალში ეს ციფრი კიდევ უფრო გაიზრდება—მალე ჩვენს ფლოტს ოთხი, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აგებული გემი შეემატება.

წლებს გამოცდილებაც მოაქვს. სულ უფრო და უფრო მეტი ქართველი ვაჟკაცი ირჩევს „ზღვის მგლად“. რაც შეეხება მეთევზის პროფესიას, იგი ახლა ბევრს იტაცებს და ვინც პირველ გამოცდას წარმატებით აბარებს, სამუდამოდ უმეგობრდება ზღვას.

აი რატომ არის, რომ ქართულ სუფრას უკანასკნელ წლებში კიდევ ერთი სადღეგრძელო შეემატა: თბილისელი, ქუთაისელი, გურჯაანელი, ფოთელი თუ მახარაძელი თამადა ღხინს ისე არ დაამთავრებს, ზღვაში მყოფთა სადღეგრძელო არ შეხვას.

მაშ გაუმარჯოს მათ, ვინც ზღვაშია!

— სად არიან ახლა ქართველი მეთევზეები? — ვეკითხებით საქართველოს თევზის მრეწველობის სამმართველოს უფროსს პლატონ საპანაძეს. მასპინძელმა კედელზე გაკრულ უზარმაზარ რუკას შეხედა — იქ, აფრიკის სანაპიროებთან.

„რუსთაველი“, „თბილისი“, „კახეთი“, „რუსთავი“, „იმერეთი“, „გურია“, „ფოთი“, „სალხინო“ და სხვა ოკეანეებს. ქართველი მეზღვაურები წელიწადია სერავენ ზღვებსა და ოკეანეებს, ქართველი მეზღვაურები სამშობლოდან ათასობით კილომეტრის დაშორებით შლიან ბადეს, იჭერენ თევზს, ვაკუკაცურად ებრძვიან გაველბულ ოკეანეს, კარგ ამინდში კი საქმეს ჩვენებურ სიმღერას აშველებენ — ასე უფრო ადვილიაო და დროც შეუმჩნევლად გადისო — ამბობს პატივცემული პლატონი.

თევზაობაში, ტალღებთან ჭიდილში გადის 175 დღე და შინისაკენ მოიჩქარიან, მოდიან ხელდამშვენებულნი. გემძიერდება სავსეა თევზით. გული— სამშობლოსთან, ოჯახთან, მეგობრებთან შესვედრის სიხარულით. შემდეგ კი, როდესაც კარგად დაისვენებენ, გემსაც წესრიგზე მოიყვანენ, სულ უფრო და უფრო ხშირად ახსენებენ ზღვას და კვლავ... ყალყზე შემდგარი ტალღები, თევზის ჭერა და დარდი მონატრებულ მთა-ბარზე, ცოლ-შვილზე, ნაცნობ-მეგობრებზე...

თევზსაჭერი საოკეანო ფლოტი საქართველოში 1964 წელს შეიქმნა. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა საზღვაო კუთხეში მომუშავე ქართველმა მეზღვაურებმა ერთად მოიყარეს თავი. საქმის გაძღოლა საქვეყნოდ ცნობილ სპეციალისტს პლატონ საპანაძეს მიანდეს. იგი თითქმის ოცდახუთ წელიწადს განაგებდა ჩვენი ქვეყნის თევზის მრეწველობის ყველაზე დიდ — ჩრდილოეთის, ანუ როგორც მას უწოდებენ — მურმანსკის აუზს.

სხვათა შორის, როდესაც ბატონი პლატონი მურმანსკში მუშაობდა, შორეულ აღმოსავლეთში თევზის ჭერის საქმეს შალვა ნადირაძე უძღვებოდა, ხოლო საბჭოთა კავშირის დასავლეთის აუზს ვალერიან ჯაფარიძე განაგებდა.


რუსთაველის პრემიის ლაურეატები

მისი პოეტური სული









ამ სახლში ყველას შეგიძლიათ მისვლა. მნიშვნელობა არა აქვს, იცნობთ თუ არა მასპინძელს. კარი ღია დაგხვდებათ. მაინც დააკაკუნეთ. შემოდიო, გაიგონებთ და ზღურბლს მორიდებით გადააბიჯებთ, შეხვალთ და ძველებურ დარბაზში აღმოჩნდებით, რომლის მსგავსს ახლა იშვიათად შეხვდებით.

აქ ვერ ნახავთ მოდურ ავეჯს, თვალისმომჭრელ ფუფუნებას. აქ სხვა სილამაზე გაგითბობთ გულს, ძალზე ახლობელი და მშობლიური.

აი თუნდაც ეს ვიწრო კიბე, რიკულებიან აივანზე რომ აგიყვანთ, აივნის საბჯენი ბოძები, ოთახს რომ შუაზე გასდევს. დაკიდული ნივრის კონები, ფოჩებდაწნული ხახვი... სურნელოვანი ხმელი ქინძი და ჭონდარი, ყვითლად მოღაღანე ზაფრანა... ქართული ფარდაგებით, შუთაქებითა და ბალიშებით მოფენილი დაბალი ტახტი, სავარძლები და იატაკი, სპილენძისა და თიხის ჭურჭლის უნიკალური კოლექცია — სურები და დოქები, ქოთნები და ფიალები, ქვევრები და სასმისები და კიდევ ათასი სხვა რამ.

კედლებზე კი... კედლებზე საქართველოს ყველა კუთხე გაცოცხლებულა, თბილისის უბან-კუნჭულები, მიხვეულ-მოხვეული ქუჩები და მიჯრით მიწყობილი სახურავები მხატვრის ხელით ფაქიზად მოხატულა, წელიწადის ყველა დრო, განსაკუთრებით ზამთარი, გასაოცარი ზღაპრული ფერებით აშლერებულა.

მასპინძელი უსიტყვოდ, გულთბილი ღიმილით, დაკვირვებით შემოგცქერით, აი ისე, მხატვრებმა რომ იციან ხოლმე. ჩვენი მასპინძელი ხომ ფუნჯის ცნობილი ოსტატია, საქართველოს სახალხო მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ელენე ახვლედიანი.

დგას ეს მაღალი, ჭაღარა ქალი, წელში გამართული, ახოვანი და რაღაცით საოცრად ჰგავს ქართულ დედაბოძს, სწორედ იმ დედაბოძს, მისი სახელოსნოს შუაში რომ აღმართულა.

სურვილი — პირადად გაიცნო ხელოვანი, რომლის შემოქმედებაში ასე ძალუმად იგრძნობა ძველი და ახალი თბილისის სუნთქვა, იმდენად დიდია, რომ მხატვრის სახლში, რომელიც კარგა ხანია თავისებურ მუზეუმად ქცეულა, განუწყვეტლივ მოდიან სხვადასხვა ასაკისა და გემოვნების, სხვადასხვა შეხედულებისა და პროფესიის ადამიანები. მოდიან და ტკბებიან მზის სხივით გამობარი ტილოების ხილვით.

ნაცნობი კუთხე, ნაცნობი ქუჩა ძველი თუ ახალი თბილისისა, არამიწიერი სილამაზით სუნთქავს ახვლედიანის ტილოებზე; მზის ამოსვლასთან შეხვედრა თუ ჩამავალი მზის სხივებთან გამომშვიდობება საოცარი ფერთა სიუხვით აღბეჭდილა მის ქმნილებებში. მზით, სინათლით, ჰაერით სავსე ახვლედიანის სურათებში გვაღელვებს მხატვრის პოეტური სული, გრძნობათა სიღრმე და სიმართლე.

სულწადგმულია საქართველოს აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის პეიზაჟები, მისი მთები და ველები, ახალი მშენებლობანი თუ ჩუჭურთმებად ჩამოსხმული ძველი აივნები.

სიხარულითა და ბედნიერებით გივსებთ გულს გაზაფხულის ფერთა სიმრავლე და ზამთრის თეთრი ქათიბის ჭვრეტა. ამიტომ არ ილევა სტუმარი ახვლედიანის ოჯახში, ამიტომ არის მუდამ ხალხმრავლობა მის გამოფენებზე. ასეა ახლაც გამომცემლობა „მერანის“ საღონეში, სადაც წარმოდგენილია მხატვრის სხვადასხვა პერიოდის ნამუშევრები. ჩანაწერებით სავსეა შთაბეჭდილებათა წიგნი. მადლობა, კმაყოფილება, ჭეშმარიტი ხელოვნების ქმნილებებთან შეხვედრით გამოწვეული სიხარული — აი რას ამოიკითხავთ მასში. და რაც ყველაზე სასიხარულოა — ელენე ახვლედიანის შემოქმედება დროთა მანძილზე უფრო მშვენიერდება, ახალგაზრდაედება. წელიწადთა სიმრავლე ვერაფერს აკლებს მხატვრის გასაოცარ ენერგიას.

ელენე ახვლედიანის შემოქმედების კიდევ ერთი აღიარებაა მისთვის რუსთაველის სახელობის პრემიის მინიჭება. ეს ჯილდო ახალი ძალით აღაგზნებს მხატვარს, ჩვენ კი, მის მრავალრიცხოვან თაყვანისმცემელს ბევრ ახალ, ბრწყინვალე ნაწარმოებს გვპირდება.

ლია მიქაძე

სურათებზე: ელენე ახვლედიანის ფერწერული ტილოები — „ძველი თბილისი“, „რაჭა“, „კახური პეიზაჟი“, „შატილი“.

ალექსანდრე **სარიშვილის** ფოტო

გერმანული ჟურნალის ფურცლებზე

შტუტგარტის (გრფ) ყოველთვიური ჟურნალის „დერ იუბერზეცერის“ უკანასკნელ ნომერში გამქვეყნდა როლფ ტონდორფის რეცენზია თარგმანის ცნობილი თეორეტიკოსის გივი გაჩეჩილაძის წიგნზე „მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი“. რეცენზიის ავტორი გივი გაჩეჩილაძის ნაშრომს „ზედმიწევნით საქმიან წიგნად თვლის და საუკეთესოდ აფასებს.

სპარსელი კლასიკოსი ქართულად

ახლახან გამომცემლობა „ნაკადულმა“ გამოსცა დიდი სპარსელი კლასიკოსის ჯელალ-ედდინ რუმის ლექსები, რომლებიც თარგმნა ცნობილმა ირანისტმა და მთარგმნელმა პროფესორმა შაგალი თოდუამ. ეს თარგმანი პირველი ცდაა რუმის ლექსების ქართულ ენაზე ცალკე წიგნად გამოცემისა და, ამდენად, ძალზე სასიამოვნო ფაქტია.

ამერიკელებიც წაიკითხავენ

ამრიკის შეერთებულ შტატებში, სამხრეთ ილინოისის უნივერსიტეტის „საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის შესწავლის ცენტრის“ ბიულეტენში გამოქვეყნდა ამ ცენტრის დირექტორის, მწერალ ჰერბერტ მარშალის წერილი, ტიციან ტაბიძის ცნობილი ნაწარმოების „ლექსი მეწყერის“ ქართული ტექსტი, მწკარედი და ინგლისური თარგმანი. აქვეა იუნა მორიცისა და ბულატ ოკუჯავას ლექსები, მიძღვნილი ტიციან ტაბიძისადმი.

თავის წერილში ჰერბერტ მარშალი აღნიშნავს, რომ მოხიბლულია ქართული ლექსის სურნელით და სიამოვნებით თარგმნის ინგლისურად. კერძოდ, მწერალს უკვე უთარგმნია ირაკლი აბაშიძის „პალესტინა, პალესტინა“, ტიციან ტაბიძისა და იოსებ ნონეშვილის ლექსები.

ანდრია ბალანჩივაძე

ანდრია ბალანჩივაძე იმ ქართველ კომპოზიტორთა თაობას ეკუთვნის, რომელიც ჩვენი კლასიკოსების — ზაქარია ფალიაშვილის, დიმიტრი არაყიშვილის, მელიტონ ბალანჩივაძისა და ვიქტორ დოლიძის შემდეგ გამოვიდა ქართული მუსიკის სარბიელზე. შალვა შველიძესა და გრიგოლ კილაძესთან ერთად იგი ერთ-ერთი შამამთავარია ქართული სიმფონიური მუსიკის ჩასახვა-განვითარებისა. განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ბატონ ანდრიას სიმფონიური და საბალეტო მუსიკის დარგში. იგი ავტორია პირველი ქართული ბალეტისა „მთების გული“, რომელიც 30-იან წლებში ჯერ ლენინგრადში, შემდეგ კი თბილისშიც დადგა სახელგანთქმულმა ქართველმა მოცეკვავემ და ქორეოგრაფმა ვახტანგ ჭაბუკიანმა.

ანდრია ბალანჩივაძის პირველი სიმფონია ამ უანრის პირველი სრულყოფილი მაგალითია ქართულ მუსიკაში. იგი დაიწერა 1944 წელს, როდესაც ომი დასასრულს უახლოვდებოდა და, ბუნებრივია, გამოხატავს იმდროინდელი საბჭოთა ადამიანის დაძაბულ, სულიერად მედგარ და ამავე დროს ამაღლებულ შუამანურ გრძნობებს.

ადამიანის ასევე ამაღლებულ იდეალებს უმღერის კომპოზიტორის მეორე სიმფონიაც, რომელიც 1959 წელს დაიწერა.

ანდრია ბალანჩივაძემ საფუძველი ჩაუყარა და განავითარა აგრეთვე ქართული საფორტეპიანო მუსიკა. თვით კომპოზიტორი საუცხოო პიანისტია და ორგანულად გრძნობს ამ საკრავის სპეციფიკას. ამ ჟანრში მას არაერთი მიღწევა აქვს. იგი ავტორია ოთხი საფორტეპიანო კონცერტისა, მრავალი ციკლისა და პიესისა.

შესამე კონცერტი საბავშვო საფორტეპიანო მუსიკის ბრწყინვალე მაგალითია, რომელსაც მოზრდილებიც სიამოვნებით და ხშირად ასრულებენ. ეს ნაწარმოები შევიდა საბჭოთა მუსიკის საგანძურში როგორც სწორუპოვარი მაგალითი საბავშვო მუსიკისა ამ ჟანრში.

მეოთხე კონცერტი ორიგინალურია თავისი ფორმით. იგი პროგრამულია და სუიტას წააგავს. ეს ნაწარმოები საუკუნოვანი ქართული კულტურისა და ჩვენი საოცარი ბუნების თავისებური, ამაღლებული ჰიმნია.

ანდრია ბალანჩივაძეს ეკუთვნის აგრეთვე ორი ბალეტი „ცხოვრების ფურცლები“ და „შწირი“ (ლერმონტოვის ამავე სახელწოდების პოემის მიხედვით), მისი შემოქმედების ნაყოფია ოპერები „შზია“ და „ოქროს ჭორწილი“.

ანდრია ბალანჩივაძე ავტორია რამდენიმე ქართული ფილმისა და თეატრალური დადგმის მუსიკისა.

რა არის დამახასიათებელი ანდრია ბალანჩივაძის შემოქმედებისათვის? მაღალი პროფესიონალიზმი, ფორმის უტყუარი გრძნობა და მხატვრულ სახეთა მრავალფეროვნება. მას შეუძლია შექმნას ისეთი დიამეტრიულად საწინააღმდეგო ნაწარმოებები, როგორიც არის მთის ანკარა წყაროსავით ქამკამა და ნათელი მესამე საფორტეპიანო კონცერტი და თანამედროვე მუსიკის მიღწევებით აღჭურვილი დიდი მუსიკალური ტილო, ბალეტი „შწირი“ ან ამავე სტილში გადაწყვეტილი მეოთხე საფორტეპიანო კონცერტი.

როგორც პიანისტი, ანდრია ბალანჩივაძე დროდადრო გვევლინება საკუთარი ნაწარმოების ბრწყინვალე შემსრულებლად. ბირადად მე, სულ ახლახან, როგორც დირიჟორს, წილად მხვდა სიამოვნება გამოვსულიყავი მასთან ერთად საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სიმფონიური ორკესტრის მონაწილეობით, ქართული მუსიკის ფესტივალზე. ბატონ ანდრიას ჩემი ხელმძღვანელობით შეესრულებინა მისი ფორტეპიანო კონცერტი. ეს იყო ნამდვილი ხელოვნების ზეიმი, ნამდვილი სიხარული, ნამდვილი შემოქმედებითი ურთიერთობა.

ანდრია ბალანჩივაძე ბრწყინვალე პედაგოგია. მისი მოწაფეები ფართოდ არიან ცნობილნი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში. ბევრი მათგანი ლაურეატია საკავშირო და საერთაშორისო კონკურსებისა. ბატონ ანდრიას ბედნიერება ხვდა წილად, ხედავდეს თავისი ნაწარმოებების წარმატებას, ხედავდეს, როგორ ხდებიან ისინი ხალხის საყვარელი სიმღერები.

ანდრია ბალანჩივაძე ბრწყინვალე ორატორიც არის. ის ხშირად ასრულებს ლექციებს მუსიკის ისტორიის, თანამედროვე მუსიკის ძირითად პრობლემებზე. ამ ლექციებს ის ხშირად ახმოვანებს საკუთარი ნაწარმოებების ფრაგმენტებით.

ანდრია ბალანჩივაძე ბრწყინვალე მასწავლებელია. მისი მოსწავლ

საქართველოს მოსახლეობა

წლეულს აპრილში პრესაში გამოქვეყნდა მოსახლეობის საკავშირო აღწერის წინასწარი შედეგები, რამდენიმე ხნის შემდეგ კი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში დაწვრილებით გაშუქდა ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა, განათლების დონე, ეროვნული შემადგენლობა, საარსებო სახსრების წყაროები და სხვა.

ჩვენი თხოვნით მოსახლეობის აღწერის შედეგების იმ ნაწილს, რომელიც საქართველოს შეეხება, კომენტარს უკეთებს ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის მოსახლეობის გეოგრაფიის ლაბორატორიის გამგე, პროფესორი ვახტანგ ჯაოშვილი.

ვიდრე მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის შედეგებს შევეხებოდე, მინდა შემოგთავაზოთ მცირე ექსკურსი ჩვენი ქვეყნის წარსულში.

შუა საუკუნეების ქარცეცხლმა საქართველოს ერთ დროს მრავალმილიონიანი მოსახლეობა მე-18 საუკუნის დამლევისათვის 675 ათას კაცზე დაიყვანა (მხედველობაში მაქვს საქართველოს დღევანდელი საზღვრები). უკვე, მე-19 საუკუნის მიწურულში აღწერის შედეგად გაირკვა, რომ საქართველოს მოსახლეობა ერთისამად გაიზარდა. მატება არც შემდგომ წლებში შეჩერებულა, 1921 წლის მონაცემებით ჩვენს რესპუბლიკაში 2 მილიონ 410 ათასი კაცი ცხოვრობდა. ამის შემდეგ საქართველოში მოსახლეობის აღწერა ოთხჯერ (1926, 1939, 1959 და 1970 წლებში) მოიწყო. ამჟამად ჩვენს ხელთ არის მდიდარი სტატისტიკური მასალა, რომლის განხილვა „სამშობლოს“ მკითხველისათვის, ვფიქრობ, საინტერესო იქნება.

პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე საქართველოს მოსახლეობა თითქმის გაორკეცდა. 1970 წლის 15 იანვრის აღწერით, ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებთა რიცხვმა 4.686,4 ათასს მიაღწია, რაც 642 ათასით მეტია 1959 წლის მონაცემებთან შედარებით. საინტერესოა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი 170 წლის მანძილზე მსოფლიოს მოსახლეობა ოთხჯერ გაიზარდა (911 მილიონიდან 3.650 მილიონამდე), მაშინ როდესაც ამავე პერიოდში მოსახლეობამ საქართველოში 7-ჯერ იმატა.

საქართველოს მოსახლეობის შედარებით სწრაფი ზრდის მთავარი მიზეზი, რა თქმა უნდა, ბუნებრივი გამრავლებაა. მაგრამ ამ საქმეში გარკვეული როლი შეასრულა მოსახლეობის მიგრაციამაც. მიახლოებითი გამოთვლით მე-19 საუკუნის დამდეგიდან 1921 წლამდე შიგნით რუსეთის გუბერნიებიდან და ამიერკავკასიის ქვეყნებიდან საქართველოში ჩამოსახლდა 325 ათასამდე არაქართველი, ხოლო სამშობლო დატოვა დაახლოებით 30 ათასმა ქართველმა და 27 ათასმა აფხაზმა. ჩამოსახლებულთა ძირითად ნაწილს შეადგენდნენ რუსები, სომხები, ოსები და ბერძნები. მოსახლეობის მექანიკური მატება გრძელდებოდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც. 1921-1941 წლებში საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსულთა რიცხვი 240 ათასს უახლოვდება. მეორე მსოფლიო ომისა და მის შემდგომ პერიოდში მიგრანტთა გარედან მოსვლამ შესამჩნევად იკლო და 1957 წლიდან სრულიად საწინააღმდეგო მოვლენამ იჩინა თავი. თუ მანამდე საქართველოს მოსახლეობის გაცვლის დადებითი ბალანსი ჰქონდა, უკანასკნელი 15 წლის მანძილზე წასულ არაქართველთა რიცხვი ბევრად სჭარბობს მოსულთა რიცხვს. მარტო უკანასკნელი 11 წელიწადში (1959-1970 წლები) საქართველოდან დაახლოებით 90 ათასი კაცით მეტი წავიდა, ვიდრე ჩამოსახლდა.

წასულთა შორის, მართალია, მცირე რაოდენობით, მაგრამ არიან ქართველები. ეს იქიდან ჩანს, რომ იმავე 1959-1970 წლებში ქართველთა რიცხვი საბჭოთა კავშირის დანარჩენ რესპუბლიკებში 91 ათასიდან 114 ათას კაცამდე გაიზარდა. ეს, რა თქმა უნდა, ბევრი როდია. საერთოდ, საბჭოთა კავშირის უმთავრეს ეროვნებათა შორის საქართველოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებ ქართველთა რაოდენობა ყველაზე მცირეა. 1970 წლის აღწერით, საქართველოში თავმოყრილი იყო საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ქართველთა 96,5 პროცენტი.

უკანასკნელ წლებში ქართველი ერის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მისმა რაოდენობამ სამმილიონიან ზღვარს გადააჭარბა. თუ 1959 წელს საქართველოში 2 მილიონ 601 ათასი ქართველი ცხოვრობდა, 1970 წლისათვის 3 მილიონ 131 ათასს მიაღწია და ამრიგად თერთმეტ წელიწადში 20,3 პროცენტით გაიზარდა.

ეს სავსებით კანონზომიერი პროცესია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბოლო 14 წლის მანძილზე ქართველების რიცხვი უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე რესპუბლიკის მთელი მოსახლეობისა.

ქართველების საშუალო წლიური ზრდა 11 წლის მანძილზე შეადგენდა 1,7 პროცენტს. ანალოგიური მაჩვენებელი რესპუბლიკის მთელი მოსახლეობისათვის კი უდრიდა 1,35 პროცენტს. ამის შედეგად 1970 წლისათვის შესამჩნევად შეიცვალა მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, რაც კარგად ჩანს შემდეგი ცხრილიდან.

	1959 წელი		1970 წელი	
	ათასი	პრო-ცენტი	ათასი	პრო-ცენტი
ქართველი	2601	64,3	3131	66,8
ოსი	141	3,5	150	3,2
აფხაზი	63	1,6	79	1,7
სომეხი	443	11,0	452	9,7
რუსი	408	10,1	397	8,5
აზერბაიჯანელი	154	3,8	218	4,6
ბერძენი	73	1,8	89	1,9
ებრაელი	52	1,3	55	1,2
უკრაინელი	52	1,3	50	1,1
ქურთი	16	0,4	21	0,4
სხვა ეროვნებანი	41	0,9	44	0,9
სულ მოსახლეობა	4044	100	4686	100

ცალკეულ ეროვნებათა მოსახლეობის ნაწილის სხვა რესპუბლიკებში წასვლამ გამოიწვია მათი ხვედრითი წონის შემცირება, ხოლო ზოგიერთი მათგანის რაოდენობა აბსოლუტურადაც შემცირდა. ასეთ ეროვნებათა რიცხვს ეკუთვნიან საქართველოში მცხოვრები სომხები, ოსები, რუსები, უკრაინელები. ყველაზე დიდი ზრდა ჰქონდათ აზერბაიჯანელებს, რომლებსაც მეტად მაღალი ბუნებრივი მატება აქვთ თავიანთ სამშობლოშიც. თუ ქართველების ზრდამ 11 წლის მანძილზე 20,3 პროცენტი შეადგინა, ერთად აღებულ დანარჩენ ეროვნებათა ზრდა 7,7 პროცენტია, ხოლო მთელი მოსახლეობის მატება 15,9 პროცენტი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ხსენებულ პერიოდში მთლიანად საბჭოთა კავშირის მოსახლეობაც 15,9 პროცენტით გაიზარდა.


ისევე, როგორც მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, საბჭოთა კავშირშიც, და მათ შორის საქართველოშიც, უკანასკნელ ათ წელიწადში შეიმჩნევა შობადობის შემცირების ტენდენცია, რაც ნაწილობრივ მეორე მსოფლიო ომის უარყოფითი გავლენით აიხსნება. ამჟამად შობადობა მოდის უპირატესად იმ დედებზე, რომლებიც თვითონ დაიბადნენ ომისა და მის მომდევნო წლებში, მაშინ კი დაბადებათა რიცხვი მკვეთრად იყო შემცირებული. 1950-იან წლებში მოსახლეობის საშუალო წლიური ბუნებრივი მატება ყოველ ათას მცხოვრებზე ჩვიდმეტს შეადგენდა, ხოლო 1960-იან წლებში ეს მაჩვენებელი შემცირდა თოთხმეტამდე. მაგრამ ამასთან საყურადღებოა ის გარემოება, რომ ჩვენში ძალზე შემცირდა სიკვდილიანობა. გარდაცვლილთა რიცხვი საშუალოდ ათას მცხოვრებზე 6-7 არ აღემატება. ეს სიკვდილიანობის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ნორმაა მთელ მსოფლიოში. ამით აიხსნება, რომ საქართველოში ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა 73 წელს შეადგენს.

დიდ ცვლილებებს განიცდის საქართველოს მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება. მეტად სწრაფად იზრდება მოსახლეობის გადასვლა სოფლიდან ქალაქად. 1926 წელს ქალაქად ცხოვრობდა რესპუბლიკის მოსახლეობის 22,2 პროცენტი, 1970 წელს კი 47,8 პროცენტი. ამჟამად საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი ქალაქად ცხოვრობს. მარტო თბილისში 900 ათასზე მეტი მცხოვრებია. სულ საქართველოში ასზე მეტი ქალაქი და ქალაქის ტიპის დაბაა.

საქართველო საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული რესპუბლიკაა. საშუალოდ ერთ კვადრატულ კილომეტრზე 68 კაცი ცხოვრობს. მაგრამ საქართველოს ტერიტორიის თითქმის ორი მესამედი მთაგორიანი რელიეფის გამო დასახლებისათვის გამოუსადეგარია. ამიტომ, თუ სიმჭიდროვეს ვიანგარიშებთ ფაქტიურად დასახლებულ ტერიტორიაზე, ეს მაჩვენებელი გაცილებით უფრო დიდი იქნება — 186 კაცი ერთ კვადრატულ კილომეტრზე.

ქართველ ხალხში ყოველთვის დიდი მისწრაფება იყო სწავლა-განათლებისაკენ, მაგრამ უკანასკნელი ხუთი ათეული წლის მანძილზე მომხდარი ცვლილებანი ამ მხრივ მართლაც რომ საამაყოა. ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში საქართველოში მოისპო უწიგნურობა. 1939 წელს 10 წლისა და მეტი ასაკის ყოველი ათასი მცხოვრებისაგან საშუალო და უმაღლესი განათლება (სრული და არასრული) ჰქონდა 165 კაცს, 1959 წელს — 448-ს, ხოლო 1970 წელს — 554-ს, მათ შორის დამთავრებული უმაღლესი განათლება აქვს 73 კაცს. ამ მაჩვენებლით საქართველო პირველ ადგილზეა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის და ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს მთელ მსოფლიოში.

პროფესორი
ვახტანგ ჯაოშვილი



თბილისი. სამასი არაგველის ძეგლი



ალექსანდრე სარიშვილის ფოტო.

ახალი წიგნები

სარგის ცაიშვილი — „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია, მე-2 ტომი

ამ ნაშრომის I ტომი (1970 წელი, გამომცემლობა „მეცნიერება“) თეორიული ხასიათისა იყო და ეხებოდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორიის ძირითად საკითხებს. მეორე ტომში, რომელიც ახლახან გამოვიდა, პოემის რედაქციების კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგების მიხედვით დალაგებული და მეცნიერულად აღწერილია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები და ეპიგრაფიკული თუ მინაწერების სახით არსებული ფრაგმენტები. წლების მანძილზე წარმოებული კვლევა-ძიების შედეგად საქართველოს, რუსეთისა თუ უცხოეთის არქივებსა და კერძო პირთა საცავებში გამოვლენილი და შესწავლილია პოემის 162 ხელნაწერი და ცალკეული ფრაგმენტი. ამდენად აღნიშნულ ტომს, რომელშიც პირველად არის თავმოყრილი და აღწერილი პოემის ხელნაწერები, ერთგვარად საცნობარო ხასიათიც აქვს და გარკვეულ სამსახურს გაუწევს „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლით დაინტერესებულ პირებს.

წიგნის რედაქტორია აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე.

ანტონ წულუკიძე — „ქართული საბჭოთა მუსიკა“

ვამომცემლობა „ხელოვნებამ“ საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვან იუბილეს მიუძღვნა ანტონ წულუკიძის ნარკვევი — „ქართული საბჭოთა მუსიკა“. ნარკვევი შედგება 9 თავისაგან, რომლებშიც ავტორი ეხება ქართულ საშემსრულებლო ხელოვნებას, ეროვნული მუსიკალური კულტურის პრობლემებს, განიხილავს ქართულ სიმფონიურ, კამერულ-საკრავიერ მუსიკას, ქართულ საბჭოთა ოპერას, ბალეტს, ოპერეტას, საესტრადო-პოპულარულ მუსიკას...

„ქართული სამეფო სამთავროების პოლიტიკის ისტორიიდან“

ამ სათაურით გამომცემლობა „მეცნიერებამ“ მოამზადა ვამოკვლევათა კრებული სამ ტომად, რომლის პირველი ტომი მკითხველმა უკვე მიიღო.

კრებულში გაშუქებულია XV-XVIII საუკუნეების ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიის საკითხები და საქართველოს ურთიერთობა რუსეთთან, ირანთან, თურქეთთან და დასავლეთ ევროპასთან. კერძოდ, განხილულია: საქართველოს ეკლესიის მონაწილეობა ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაში (1437-1439), რაც სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე არ ყოფილა სათანადოდ გაშუქებული; ნაჩვენებია საქართველოს ადგილი XVII საუკუნის 50-იანი წლების საერთაშორისო ურთიერთობათა გადახლართვის რთულ სიტუაციაში; დღემდე უცნობი საარქივო მასალების საფუძველზე გაშუქებულია XVII საუკუნის სამეგრელოს სამთავროს შინაპოლიტიკური ისტორიის საგულისხმო ფაქტი, რომელიც მოწმობს ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა რუსულ ორიენტაციას; განხილულია ვახტანგ მეხუთის საგარეო პოლიტიკა, რომელიც თურქეთის საშუალებით ირანის ბატონობისაგან თავის დახსნას ისახავდა მიზნად; ახალი საარქივო მასალების საფუძველზე ვეცნობით იმერეთის სამეფოს ელჩის ტიმოთე გაბაშვილის დიპლომატიურ მოღვაწეობას რუსეთის საიმპერატორო კარზე 1737-1740 წლებში. კრებულში დაბეჭდილია ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის 1783 წელს გეორგიევსკში დადებული ხელშეკრულების სრული ტექსტი, რომელიც ამ სახით ჯერ არ ყოფილა გამოქვეყნებული. „

შუანგ ობოლაძე — „სახალხო განათლება საქართველოში“

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების ინიციატივით გამომცემლობა „განათლება“ თანამედროვე საქართველოსა და მისი ისტორიული წარსულის სხვადასხვა სფეროს გაცნობის მიზნით შეუდგა ახალი სერიის — „გაეცანით საბჭოთა საქართველოს“ გამოცემას. ერთ-ერთი ამ წიგნთაგანია პროფესორ შუანგ ობოლაძის „სახალხო განათლება საქართველოში“.



წიგნში განხილული პერიოდი მოიცავს 1921-1971 წლებს.

შესავალში ავტორი საინტერესოდ მოგვითხრობს საქართველოში ჯერ კიდევ უძველეს დროში არსებულ სკოლებსა და უმაღლესი განათლების კერებზე, განიხილავს იმ დიდ როლს, რაც შეასრულეს ქართულ ეკლესია-მონასტრებთან არსებულმა სავანეებმა.

წიგნში ცალკე თავებად არის შეტანილი სახალხო განათლების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები და განათლების საერთო დონე ჩვენს რესპუბლიკაში, სკოლამდელი აღზრდის, ზოგადი საშუალო, სპეციალური საშუალო და პროფესიულ-ტექნიკური, უმაღლესი განათლების საკითხები. აქვე ვეცნობით სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებათა მუშაობას, სახალხო მასწავლებელთა კადრების აღზრდასა და სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას.

წიგნი გამოიცა ქართულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

გაიოზ ნიშნიანიძე — „სიცილის არქივიდან“

სატირასა და იუმორს, სიცილისა და ცრემლნარევი ღიმილის მახვილს, უძველესი და უმდიდრესი ტრადიციები მოსდგამს ჩვენში. ქართული ზეპირსიტყვიერების წიაღში წარმოშობილი ეროვნული სატირული სახეობრიობა ქართველი ხალხის ყოფაცხოვრების მრავალისმთქმელი სარკეა და ამდენად გულდასაყვეტია, რომ ამ სახეობაზე აქამდე ცოტა მოგვეპოვებოდა ვრცელი ნაკვლევი. ამიტომ ქართული ჟურნალისტიკის მეცნიერული შესწავლის დარგში მეტად საყურადღებოა ახლახან გამოქვეყნებული ჟურნალისტ გაიოზ ნიშნიანიძის სქელტანიანი წიგნი — „სიცილის არქივიდან“.

წიგნი დაწერილია დიდი გულისყურით, საქმის ღრმა ცოდნითა და პროფესიული დახვეწილობით. მონოგრაფიული ხასიათის ამ ნაშრომში თანმიმდევრულად არის განხილული რევოლუციამდელი ქართული სატირულ-იუმორისტული პრესის ისტორია. აქ გამოვლენილი და შეფასებულია დღეისათვის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული არაერთი გამოცემა, მივიწყებული ჟურნალი და გაზეთი და მრავალი საინტერესო საკითხი.

საინტერესო ნაშრომი

საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიას არაერთი და ორი გამოკვლევა მიეძღვნა. ამ მხრივ დაინტერესებან იჩენენ უცხოელი ავტორებიც.

ახლახან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფონდებს შეემატა ახალი ნაშრომი ინგლისურ ენაზე — „რუსთა ელჩობა ქართველ მეფეებთან (1589-1605 წლებში)“. ამ 640-გვერდიანი ორტომეულის ავტორია ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგი ალენი. შრომა გამოცემულია კემბრიჯის უნივერსიტეტის მიერ 1970 წელს ძველი ისტორიულ-გეოგრაფიული საზოგადოება „ჰაკლიუტის“ გრიფით.

ნაშრომი წარმოადგენს რუსეთის ელჩობის საბუთების — ოქმების, ინსტრუქციებისა და სხვათა კრებულს, რომელსაც დართული აქვს ალენის შესავალი, შენიშვნები, კომენტარები და ბიბლიოგრაფია. ამ წიგნზე ავტორს მუშაობა დაუწყია მას შემდეგ, რაც თბილისში 1926 წელს შეუძენია 1889 წელს გამოცემული სერგეი ბელოკუროვის „რუსეთის ურთიერთობა კავკასიასთან“.


ნაშრომი იძლევა მდიდარ ისტორიულ მასალას, რომელიც ეხება ელჩობას კახეთისა და რუსეთის მეფეებს შორის 1564-1605 წლებში. იგი მკვლევარებს აწვდის ცნობებს რუსეთის ადმინისტრაციული და დიპლომატიური პრაქტიკის, აგრეთვე კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს ხალხთა ცხოვრებისა და ადათ-წესების შესახებ. ელჩობის ანგარიშები საინტერესოა გეოგრაფიული თვალსაზრისითაც, რადგან აღწერილია კავკასიონის ჩრდილოეთიდან სამხრეთში გადმოსვლა.

ნაშრომის მეორე ტომში შეტანილია რამდენიმე გენეალოგიური ტაბულა ქართველ მეფეთა და მთავრებისა. საინტერესოა დართული რუკები: რუსეთის რუკა, შედგენილი 1613 წელს, საქართველოსა და სომხეთის რუკები, შედგენილი 1738 წელს, რომელიც გამოსცა დელილმა 1766 წელს, ცნობილი მოგზაურის ოლეარიუსის მიერ 1633 წელს შედგენილი ვოლგის აუზის რუკა მურომიდან ასტრახანამდე. ჩრდილოეთ კავკასიის ესკიზური რუკა, აღმოსავლეთ კავკასიის ძირითადი რუკა ელჩობათა საილუსტრაციოდ, კავკასიის თურქული რუკა, რომელიც დაბეჭდა სტამბოლში 1734 წელს იბრაჰიმ მუტაფერიკამ.

საინტერესოა, რომ წიგნს წამძღვარებული აქვს მოჭარგული ასომთავრული სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ენის ლექსიკონის“ ხელნაწერიდან, რომელიც მომზადდა მზეჭაბუკ ორბელიანისათვის 1724 წელს. დართული ილუსტრაციები აღებულია ქრისტეფორე კასტელის ალბომიდან, სტამბოლის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან, მოსკოვის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმიდან.

ბოლოს დართული ვრცელი ბიბლიოგრაფია უხვ ბიბლიოგრაფიულ ცნობებს იძლევა სხვადასხვა დარგის მკვლევართათვის.

ალექსანდრე ირემაშვილი,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის სამეცნიერო ბიბლიოგრაფიის განყოფილების გამგე.



თბილისი. საბურთალოს ახალმშენებლობანი. ოთარ თუშიშვილის ფოტო.

ქუთაისის მუზეუმში

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ამ დღეებში პირველად მოეწყო მუზეუმში დაცული უნიკალური ძეგლების გამოფენა. აქ წარმოდგენილია ძველი ქართული ხელოვნების ერთერთი წამყვანი დარგის — ოქრომჭედლობისა და ძველი ქართული ლიტერატურის ბრწყინვალე ძეგლები. ქართული ოქრომჭედლობის მიერ შუა საუკუნეებში განვლილ გზას ასახავენ მაღალმხატვრული გემოვნებითა და იშვიათი ოსტატობით შესრულებული ისეთი ძეგლები, როგორიც არის ზნაკვის სტავროთეკა, ქუთაისის სამწერობელო, შორაპნისა და მოწამეთის XI საუკუნის ხატები, ფრაგმენტულად დაცული წმინდა გიორგის ხატი ხონიდან, ვერცხლით მოჭედილი ხატი სოფელ სხვავიდან, ნიკორწმინდის ჯვრის ფრაგმენტები, XI საუკუნის ტახრული მინანქრის ფრაგმენტები და ჭედური ხელოვნების სხვა შესანიშნავი ნამუშევრები. აქვეა ეტრატზე შესრულებული სახარება-სამოციქულო, ექვთიმე ათონელის მიერ ბერძნულიდან ქართულად თარგმნილი ნაშრომები, გელათის აკადემიაში არსენ იყალთოელის მიერ ბერძნულიდან თარგმნილი დიდი სჯულის კანონის ხელნაწერები, ხუთტომიანი აგიოგრაფიული ბერძნული კრებულის ქართული თარგმანები, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები და სხვა.

რუსთაველი მონტე-კარლოს სცენაზე

ახლახან ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის საუბილეო საღამოზე ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის სახელზე მოსულ მრავალრიცხოვან მისალოც დეპეშათა შორის ერთმა მიიქცია ჩემი ყურადღება. მას ხელს აწერდა ცნობილი ფრანგი ბალეტმაისტერი სერჟ ლიფარი.

სერჟ ლიფარის სახელი მსოფლიოშია ცნობილი. მაგრამ ჩვენთვის, ქართველებისათვის ეს ადამიანი განსაკუთრებით ძვირფასია იმით, რომ მან პირველმა აამეტყველა ცეკვის ენით უკვდავი შოთას დიდებული „ვეფხისტყაოსანი“.

ეს იყო 1946 წლის 5 მაისს მონტე-კარლოში...

დღეს ამ ბალეტის შესახებ ოფიციალურ ლიტერატურაში ძალზე ძუნწი ცნობებია შერჩენილი.

მაგრამ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქუჩაზე ცხოვრობს ერთი მაღალი, თმაშეკრცხლილი, სასიამოვნო გარეგნობის კაცი, რომელსაც დაწვრილებით შეუძლია ილაპარაკოს ამ ბალეტზე, მის შემქმნელებზე, მონაწილეებზე...

ეს გახლავთ ალექსანდრე პეტრიაშვილი, კაცი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა ხსენებული ბალეტის შექმნაში და რომელსაც სერჟ ლიფარმა 1961 წელს, თბილისში ყოფნისას, თავისი მასწავლებელი უწოდა.

ალექსანდრე პეტრიაშვილი თხუთმეტ წელიწადს ცხოვრობდა საფრანგეთში. ბედის ტრიალმა ჯერ ბერლინში, შემდეგ კი 1942 წელს პარიზში მოახვედრა, სადაც ქართული ბალეტი ჩამოაყალიბა და ევროპის რამდენიმე ქვეყანას გააცნო ჩვენი ცეკვის ეშხი და ლაზათი. 1957 წელს ალექსანდრე პეტრიაშვილი სამშობლოში დაბრუნდა. ამჟამად თბილისში, სასტუმრო „ივერიაში“ ერთ-ერთი განყოფილების გამგედ მუშაობს. აი რა გვიამბო მან.

— ჯერ კიდევ ბერლინში გავიგე, რომ სახელგანთქმული ფრანგი ბალეტმაისტერი სერჟ ლიფარი „შოთა რუსთაველს“ დადგმას აპირებდა.

მალე ლიფარმა პირველი ასისტენტობა და დავით სოსლანის როლის შესრულება შემომთავაზა.

სერჟ ლიფარი შოთას უკვდავ ნაწარმოებს და თამარისდროინდელ საქართველოს კარგად იცნობდა. იმის გარდა, რომ ბალეტში მან „ვეფხისტყაოსნის“ ყველა გმირი გამოიყვანა, თამარი, შოთა და დავით სოსლანიც აამეტყველა. ამით მაყურებელს პოემის შინაარსიც ნათლად უჩვენა და მე-12 საუკუნის საქართველოს სახეც. ამავე დროს იგი მხოლოდ „ქორეოგრაფიული გრამატიკით“ როდი ხელმძღვანელობდა — დრამატული ეპიზოდების ზუსტი წარმოსახვით, ეგრეთ წოდებული „წაფენით“ ქორეოგრაფმა მრავალი ეპიზოდი ისე საოცრად ასახა ერთ მთლიან ნაწილად, რომ ქორეოგრაფიული ხელოვნების ბრწყინვალე შედევრი მიიღო. კომპოზიტორ არტურ ონეგერის მიერ შექმნილი მუსიკის საუცხოო მელოდიებმა, რომელსაც საფუძვლად ძირითადად „კახური მრავალჟამიერი“ დაედო, შესანიშნავი მხატვრის — ალექსანდრე შერვაშიძის ღრმა ცოდნითა და გემოვნებით შესრულებულმა გაფორმებამ, ბალეტმაისტრის დახვეწილმა გემოვნებამ და საოცრად გრაციოზულმა ჩვენმა მდიდარმა ეროვნულმა ცეკვამ ეს ბალეტი ხელოვნების ნამდვილ ძეგლად აქცია. ევროპელმა მაყურებელმა იგი აღფრთოვანებით მიიღო.

თავდაპირველად ძალზე ორიგინალურად იყო მოფიქრებული ბალეტის დასაწყისი. ძველი სინათლით განათებული მგოსანი — შოთა სცენაზე შეუგულში მაღალ კვარცხლბეკზე დიდებულად აღმართულიყო გრძელი ეტრატით ხელში და თავის ნაწარმოებს კითხულობდა. ეს სურათი ზრაპრულ შთაბეჭდილებას ტოვებდა. მაგრამ ამ დროს თავი იჩინა ერთმა ინციდენტმა, რომელმაც კინაღამ მთელი დადგმა ჩაშალა: ლიფარმა გადაწყვიტა, თამარი ბალერინას მოკლე კაბაში გამოეწყო. დავით სოსლანს იგი მხარზე შესმული უნდა შემოეყვანა სცენაზე. მეფე-ქალი უნდა გადმომხტარიყო დავითის მხრიდან და დაეწყო ცეკვა. მე, რასაკვირველია, ვუმტკიცებდი ლიფარს, თამარი არ შეიძლება ასე გამოაწყო, არც ვინმეს მხარზე შესვა, თუნდაც ეს მისი მეუღლე იყოს-მეთქი. ლიფარი გაჯიუტდა. მაგრამ დასმა მე დამიჭირა მხარი, პირდაპირ „გაიფიცნენ“. ბალეტმაისტერმა კატასტროფის მოახლოება იგრძნო და „დაგვნებდა“.

ბალეტის დაწყების პირველი ვარიანტი ასე შეიცვალა: ხუთივე მოქმედების დაწყებისას, ფარდის ახდისას სამეფო სასახლე ჩნდებოდა. თამარა სკიპტრით ხელში ადგა ტახტზე, მაგიდასთან კი შოთა რუსთაველი ბატის ფრთით ხელში თავის უკვდავ პოემას წერდა. მთელი მოქმედების დროს მკრთალად მოჩანდა თამარისა და შოთას სილუეტი, რაც ძალზე შთამბეჭდავი იყო.

შესანიშნავი ვახლდათ იული ალგაროვის ტარიელი, არაჩვეულებრივი ფიზიკური სილამაზისა და მაღალი ტექნიკის მქონე სკურატოვის ავთანდილი, ოლგა ადაბაშის ასმათი. მაყურებელს მოსწონდა ივეტ შოვირეს ნესტანი. ეს მოცეკვავე 1966 წელს თბილისსაც ეწვია და გულთბილად გაიხსენა ეს დადგმა.

ბალეტს მონტე-კარლოში დიდი წარმატება ხვდა. ასეთივე დიდი წარმატებით დაიდგა იგი ლონდონშიც, უდიდეს დარბაზ „კოვენტ გარდენში“.

— თავს უპატიოდ ვერ ადამიანად ვთვლი, რომ რაღაც წვლილი მეც მიმიძღვის დიდი შოთას ნაწარმოების პირველი საბალეტო სპექტაკლის შექმნაში, — ამბობს ბატონი ალექსანდრე.

ლია ჩიქოვანი

● რედაქციისაგან

როგორც ცნობილია, ფრანგული პრესა თავის დროზე დიდად გამოეხმაურა ამ დადგმას. საფრანგეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები გაზეთ „სამშობლოს“ მკითხველები დიდ პატივს დაგვდებენ, თუ დაინტერესდებიან და როგორმე მოგვაწვდიან იმ წერილებსა და რეცენზიებს, რომლებიც აღნიშნულ ბალეტს მიეძღვნა.

თბილისში ყოფნისას ქალბატონი ივეტ შოვირეც დაჰპირდა ქართველ ჟურნალისტებს — შეარჩენილი მაქვს იმდროინდელი ფოტოები და რეცენზიები და როგორც კი სამშობლოში დავბრუნდები, მოგაწვდითო. ჯერჯერობით არაფერი ჩანს... იქნებ შევახსენოთ დანაპირები?

ვინ იყო ვახრამ დადიანი?

ნებით თუ უნებლიეთ, შურმა თუ მტრობამ, ცხოვრების უკუღმართობამ თუ ბედის სიმუხთლემ მრავალი ქართველი მოსწყვიტა სამშობლოს და უცხო ქვეყნის, უცხო ხალხის სამსახურში ჩააყენა.

უკანასკნელი წლების მანძილზე შესაძლებელი გახდა მიგვეკვლია და მზის შუქზე გამოგვეტანა საკმაოდ ბევრი მასალა, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმოფანტულ თანამემამულეთა მოღვაწეობაზე, კაცობრიობის საკეთილდღეოდ გაღებულ ღვაწლზე მოგვითხრობს.

დღეს უცხოეთში მოღვაწე კიდევ ერთი ქართველი მამულიშვილის ასავალ-დასავალს გვინდა მივაკვლიოთ, სამშობლოს მოწყვეტილ სხელოვან ადამიანთა საკმაოდ დიდ სიას კიდევ ერთი სახელი შევმატოთ. მხედველობაში გვყავს ვახრამ ანუ ვახტანგ დადიანი. წინასწარვე გვინდა განვაცხადოთ: დადიანთა ცნობილი გვარის ამ სახელოვანი შთამომავლის ვინაობის გარკვევა სხვებზე უკეთ საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებს შეუძლიათ. რატომ ვფიქრობთ ასე, ამასაც მოგახსენებთ.

1910 წლის 21 აგვისტოს რუსულმა ჟურნალმა „ოგონიოკმა“ (№ 34) თავის ფურცლებზე ჩინ-მედლებით მკერდდამშვენებული ვახრამ დადიანის სურათი გამოაქვეყნა და ქვეშ ასეთი წარწერა გაუკეთა:

„თავადი ვახრამ დადიანი, სპარსეთის იუსტიციის მინისტრის ახალი ამხანაგი, გადაღებულია სურათიდან, რომელიც ჟურნალ „ოგონიოკს“ მიაწოდა მ. ნეიმანმა.

ქრისტიანი ქართველი თავადის ასეთ მაღალ თანამდებობაზე დანიშვნა მაჰმადიანი ხალხების ისტორიაში გაუგონარი ამბავია. შარიათი



ამას კრძალავს. მაგრამ სპარსეთში დაგეგმილ ძირეულ რეფორმებთან დაკავშირებით, როცა მოსალოდნელია ყოვლისშემძლე სასულიერო წოდების შეუპოვარი ოპოზიცია, მინისტრთა კაბინეტმა თავადი დადიანი შეარჩია, როგორც ყველაზე შესაფერისი კაცი სასამართლო რეფორმების გატარების ან, უკიდურეს შემთხვევაში, ევროპული კანონების შეფარდებისათვის შარიათთან.

თავადმა ვახრამ დადიანმა უმაღლესი განათლება პარიზში მიიღო და საფუძვლიანად შეისწავლა მუსულმანური საკანონმდებლო კოდექსი. იგი სპარსეთის ორი შაჰის — ნასრ-ედინის და მუზაფერ-ედინის განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდა. დადიანი მათი სერ-იავერი — პირველი გენერალ-ადიუტანტი იყო. სპარსეთისათვის მან შეადგინა ფართო რეფორმის პროექტი, განახორციელა ძირეული გარდაქმნები საბაჟო და ფოსტა-ტელეგრაფის მმართველობის დარგში“.

ეს არის და ეს. გამოჩენილი მამულიშვილის შესახებ, სამწუხაროდ, სხვა ცნობებს ვერ მივაკვლიეთ. არც დადიანთა გვარის ცნობილი მკვლევარის იონა მეუნარგიას შრომებში და არც ქართულ საენციკლოპედიო მასალებში ამ კაცის შესახებ სიტყვა არ არის ნათქვამი. არაფერია დაცული ზუგდიდის მუზეუმშიც და, ბოლოს, ვახრამ დადიანზე არ გაჩნიათ ცნობები ქართველ სპარსოლოგებსაც. არ გამორიცხულა ვარაუდი, რომ ვახრამ დადიანი სამეფო კარს დრაგუნთა პოლკში სამსახურისას დაუახლოვდებოდა, სადაც 1884 წლამდე სპარსეთის პრინცი ელხანი მირზა მსახურობდა.

ვახრამ ანუ ვახტანგ დადიანის ვინაობის გარკვევაში რეალური დახმარების გაწევა შეუძლიათ ჩვენს საზღვარგარეთელ თანამემამულეებს. ვფიქრობთ, ჩვენი საუკუნის დამდეგის თურქულ, ირანულ თუ ფრანგულ პრესაში, მეცნიერულ და პოპულარულ ლიტერატურაში საკმაოდ ბევრი ცნობა იქნება გაფანტული ამ საინტერესო პიროვნებაზე. ასევე ბევრ კითხვაზე შეუძლია პასუხის გაცემა პარიზის უნივერსიტეტისა თუ იურიდიული უმაღლესი სასწავლებლის არქივებში დაცულ მასალებს — სხვა თუ არაფერი, იქ მისი ყოფილი სტუდენტის პირადი საქმე მაინც იქნება შენახული.

ვფიქრობთ, საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეთა დახმარებით ვახრამ ანუ ვახტანგ დადიანის სახელი ღირსეულ ადგილს დაიჭერს იმ მამულიშვილთა გვერდით, რომლებიც, მართალია, უცხო ხალხთა სამსახურში იდგნენ, მაგრამ მინდობილ საქმეს ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი ნიჭიერებით, პატიოსნებით, შეუბღალავი სინდისითა და კაცთმოყვარეობით ასრულებდნენ.

ამირან ცამციშვილი,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი

სიკეთის მთესველი

30 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც ფაშისტური გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, რომელიც ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა, სხვების მხარდამხარ გმირულად იბრძოდნენ ქართველი ვაჟკაცები. მათი გმირობისა და თავგანწირვის მოწმეა მოსკოვი და ლენინგრადი, კიევი და ქერჩი, ბერლინი და კენიგსბერგი...

ქართველი რაინდები თავგამოდებით ებრძოდნენ ფაშისტებს იტალიასა და რუმინეთში, ბულგარეთსა და იუგოსლავიაში, საფრანგეთსა და პოლონეთში.

სულ ახლახან მთელმა ქვეყანამ გაიგო იტალიის ეროვნული გმირის ფორე მოსულიშვილის ამბავი.

დღეს კი გაგაცნობთ იუგოსლავიის ეროვნული გმირის, ალექსანდრე მანაგაძის საბრძოლო გზას, რომელიც ონჭეიშელმა შეგვარდენმა ყირიმიდან ბელგრადამდე გაიარა.



იუგოსლავიის სახალხო გმირი

ყოო დრო, სიკეთე ტყვიებით, ყუმბარებით ითესებოდა: ცეცხლითა და მახვილით მოსულ მტერს ცეცხლი და მახვილი შეაგება ჩვენმა ხალხმა. ვაჟკაციც ის იყო, ვინც ერთს ათს ანცაცალებდა, ქალაქის თავზე მოთარეშე ვასსტიკიან თვითმფრინავს მიწას დაანარცხებდა, დედების, ბავშვების, მოხუცების სისხლში ხელგასვრილ ფაშისტს სამაგიეროს მიუზღავდა.

ასე იყო და მფრინავი ალექსანდრე მანაგაძეც ყუმბარებით თესავდა სიკეთეს სევასტოპოლსა და ლენინგრადში, სტალინგარდსა და კურსკში, ვენასა და ბუდაპეშტში, კენიგსბერგსა და ბელგრადში...

წყალტუბოს რაიონის სოფელ ონჭეიშის მკვიდრს ვაჟკაცობა, სამშობლოს სიყვარული მამა-პაპისაგან მოსდგამდა. მის გვარში ქვეყნის სახიკეთოდ ვისაც რა გაუკეთებია, ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ვახსენებთ მხოლოდ ერთს — ალექსანდრეს ბიძა, სინო მანაგაძე, გიორგის ჯვრის ოთხზის კავალერი გახლავთ.

კვიცი გვარზე ხტისო. სამამულო ომის დაწყების პირველსავე დღეს მიაშურა ფრონტს 22 წლის ალექსანდრე მანაგაძემ, პირველსავე დღეს აგრძნობინა თავისი ძალა მომხდურს. რკინის გული, მახვილი თვალი, მტრის სიძულვილი იყო ბომბდამშენი თვითმფრინავის ეკიპაჟის უფროსის მუდმივი თანამგზავრი და აკი აჯობა მტარვალს. სადაც კი მისწვდა, შური იძია. მიწვდომით კი ბევრგან მისწვდა.

ლენინგრადელები ახლაც მადლობის გრძნობით იხსენიებენ მფრინავს, უთანასწორო ბრძოლაში მტრის ქვემეხების ჩაჩუმება რომ შეძლო. თუ არა ალექსანდრე მანაგაძე და მისი მეგობრები, სწერდნენ უმაღლეს სარდლობას იმ ქარცეცხლიან დღეებში ნევისპირა ქალაქიდან, ვინ იცის, ალყაში მოქცეულ ლენინგრადელთა კიდევ რამდენ სიცოცხლეს შეიწირავდა მტერი, რამდენი სახლი, რამდენი ქუჩა აღიგვებოდა პირისაგან მიწისა.

სევასტოპოლში გაბეზრებულმა მტერმა ხაფანგი დაუგო მანაგაძეს და მის მეგობრებს. ზურგში ღრმად შეჭრილს, უკან დასაბრუნებელი გზა მოუჭრა. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ქართველი შევარდნის თვითმფრინავი არც მეტი, არც ნაკლები 78 ადგილას „დაიჭრა“, ალექსანდრე კი გადარჩა. გადარჩა, რომ კვლავ ყუმბარებით ეთესა სიკეთე.

სამშობლო, სადაც ყველაზე ძვირფასი მფრინავები სჭირდებოდა, იქ გზავნიდა ონჭეიშელ ჭაბუკს და ისიც მამაცურად იბრძოდა სტალინგრადთან, კურსკთან, ორიოლთან. დნეპრის გადალახვის დროს ალექსანდრეს დაავალეს ღამით გაენადგურებინა კიევის ჩრდილოეთით ტყეში შენიღბული მტრის ტექნიკა და ცოცხალი ძალა. დავალება ზუსტად შესრულდა, რომ იტყვიან, ამბის მიმტანიც არ გადარჩენილა. მტერმა იცნო მანაგაძისეული ხელწერა — ამჯერად ვეღარ გამექცევიო და გრიგალისებური ცეცხლი შეაგება შინისაკენ მიმავალს. თითქოს ხსნა აღარსაიდან ჩანდა. ორმოცდაათი პროჟექტორის ჩახჩახა სინათლე უბნელებდა თვალებს, სულ უფრო ახლოს სკდებოდნენ ყუმბარები. მანქანის კაბინას ცეცხლი მოედო. ალექსანდრემ თავდაყირა დაჭიდა თვითმფრინავი, ბევრის მნახველი ეკიპაჟი სუნთქვამეკრული შესცქეროდა უფროსს. მიწამდე თითქოს აღარაფერი რჩებოდა, სიკვდილმა თვალებში ჩახედა ყველას, მაგრამ თვითმფრინავი გასწორდა და ადამიანებმაც შვებით ამოისუნთქეს. ონჭეიშელმა შევარდენმა ამჯერადაც გააცურა მტერი.

დღე დღეს მისდევდა, წელიწადი — წელიწადს. მტერი უკან იხევდა, მაგრამ კბილები ჯერ კიდევ ბასრი ჰქონდა და მწარედაც იკბინებოდა. კავკასიონის მთების შვილი ახლა კარპატებში ებრძოდა ფაშისტებს. უჭირდათ იუგოსლაველ პარტიზანებს, ძმა ძმისთვისო და ალექსანდრე მანაგაძე, მისი მეგობრები დარსა თუ ავდარში, დღისით თუ ღამით მთებში გახიზნულთ უშიდავდნენ ტყვია-წამალს, მედიკამენტებს, საჭმელს...

სიკეთე აქაც ყუმბარებით ითესებოდა, მაგრამ იყო სხვა გამოსავალი? ჰკითხეთ იუგოსლაველ ხალხს რამდენჯერ, რომ იტყვიან ზედ სუნზე მიუსწრო მათ დახმარებამ საბჭოთა მიწიდან, რამდენი სიცოცხლე გადაარჩინა მანაგაძისა და მისი მეგობრების თავგანწირვამ. ღირსეულთ ღირსეულად მიეზღოთ, იუგოსლავიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში გამოჩენილი განსაკუთრებული გმირობისათვის ამ ქვეყნის სახალხო გმირის წოდება მიენიჭათ საბჭოთა კავშირის მარშლებს მალინოვსკის, ბირიუზოვს, სუდეცს, გენერალ-ლეიტენანტ ვიტრუკს, კონტრ-ადმირალ ოხრიმენკოს, გენერალ-პოლკოვნიკ ჟდანოვს, გენერალ-ლეიტენანტს, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირს კაზაკსა და უშიშარ მფრინავს ალექსანდრე მანაგაძეს.


დიახ, ქართველი შევარდენი ალექსანდრე მანაგაძე იუგოსლავიის სახალხო გმირად გამოაცხადეს.

ამბობენ, წლები რომ მაღლა მიდიან, მფრინავი დაბერა ეშვებაო. ალექსანდრე ახლა თბილისის სამოქალაქო აეროპორტის „მიწიერი“ მუშაკია, საფრენ ბილიკებზე მძრაობის უშიშროებას განაგებს. სამი ვაჟკაცის მამა ახლაც სიკეთეს ემსახურება. ხშირად უთქვამს: გარდასულ დღეებს რომ ვიგონებ, ჟრუანტელი მივლის, სიკეთის დასათესად აღარ უნდა დაგვჭირდეს ყუმბარებიო, ომის ცოდო-მადლი აღარ უნდა დატრიალდეს ქვეყნადო.

ომის ვეტერანმა და ოჯახზე მზრუნველმა მამამ იცის, შვილობას დაცვა რომ სჭირდება. იქნებ ამიტომაც საშუალო ვაჟი ალექსანდრე თავის კვალში ჩააყენა და ახლა სამხედრო მფრინავი დღედაღამ დარაჯობს მამა-პაპათა მონაპოვარს, სდარაჯობს უმცროსი ძმის 10 წლის დიმიტრის მშვიდ ძილს, სდარაჯობს, რომ არავინ დაანგრიოს უფროსი ძმის ინჟინერ ჯანო მანაგაძის აშენებული სახლები, სასახლეები. ფხიზლობს, რათა ასრულდეს კეთილი ნების ადამიანთა ნება — აღარასოდეს გახდეს საჭირო ყუმბარები სიკეთის დასათესად.

რევაზ მაჭავარიანი

ლალიჟისეული



სურათზე: თინათინ და თორნიკე ლალიჟები.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო

ხშირად გაიგება — მთელი მსოფლიო რომ მოიარო, ლაღიძის წყლებზე უკეთესს ვერსად დალევო. რა თქმა უნდა, ყველას თავისი ქვეყნის პური, ღვინო თუ წყალი მოსწონს, მაგრამ „ლაღიძის წყლების“ ქება-დიდება მრავლისმნახველი სტუმრებისაგანაც იმდენჯერ გვსმენია, ჩვენში თუ უცხოეთში ამ წყლის განუმეორებელ გემოსა და სიკეთეზე იმდენჯერ დაწერილა, რომ თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ — ქართველი კაცისათვის ლაღიძისეული „ხვანჭკარა“ და „კახური“ ქვევრებში ჩაწურულ კახურსა და ხვანჭკარასავით საამაყოა.

ხალხში ახლაც ლეგენდასავით დადის ხმა — საიდუმლოება, რომელსაც ამ წყლების შემქმნელი მიტროფანე ლაღიძე ფლობდა, მხოლოდ ღრმად მოხუცებულმა გაანდო თავის ქალიშვილს თინათინსო.

ამ ლეგენდამ თბილისის უალკოჰოლო სასმელებისა და ნახშირმჟავა გაზის ქარხანაში მიმიყვანა. ქარხნის მთავარი ტექნოლოგი **თინათინ ლაღიძე**, საინტერესოდ მოსაუბრე მასპინძელი გამოდგა.

აქვე გავიცანი ლაღიძეების გვარის კიდევ ერთი წარმომადგენელი — **თორნიკე ლაღიძე**, რომელიც ქარხნის საკუპაჟე საამქროს უფროსია.

საუბარი თითქმის ორ საათს გაგვიგრძელდა და მაინც ყველაფრის თქმა, ყველაფრის მოგონება როდი მოხერხდა...

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ქუთაისში ერთი მეაფთიაქე ცხოვრობდა, გვარად ივანოვსკი. წამლებთან ერთად აფთიაქში „გულის საამებელ“ წყლებსაც ამზადებდნენ. აფთიაქარის უამრავ შეგირდთაგან ეს საქმე სხვებზე უკეთ 15 წლის მიტროფანე ლაღიძემ აითვისა. ყმაწვილის გატაცება იმდენად სერიოზული გამოდგა, რომ საუკუნის მიწურულს ქუთაისში უკვე სვამდნენ მიტროფანე ლაღიძის რეცეპტით დამზადებულ ლიმონათს.

კარგ საქმეს ჭირვაგიც მალე გამოუჩნდა. დიდმა ილიამ და აკაკიმ შეუქეს ახალგაზრდა კაცს ნახელავი და სთხოვეს, თბილისშიც გაეხსნა უალკოჰოლო სასმელების ქარხანა. და აი მიტროფანე ლაღიძე 1906 წელს საცხოვრებლად დედაქალაქში გადმოდის. მოხდა კურიოზი — თბილისში ჩამოსული „გულის საამებელი“ წყლების მესაიდუმლე კინაღამ ციხეში აღმოჩნდა: მიზეზი კი გოლოვინის (ახლანდელი რუსთაველის) გამზირზე გახსნილი წყლების გასაყიდი საფირმო მაღაზია გახდა. მეფის მთავრობას არ მოეწონა ახალგაზრდა მეპატრონის სითამამე, რომელმაც მაღაზიას ქართული წარწერა უფრო დასანახ ადგილას გაუკეთა, ვიდრე რუსული. ილია ჭავჭავაძის დახმარება რომ არა, საქმე შეიძლებოდა ცუდად დამთავრებულიყო.

გადიოდა წლები, თბილისათვის „ლაღიძის წყლები“ ისეთივე განუყოფელი გახდა, როგორც რუსთაველის გამზირი და მთაწმინდა, მეტეხი და ნარიყალა...

მიტროფანე ლაღიძე სთან უალკოჰოლო სასმელების დამზადების შესახებ წასვლად ჩამოდიან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან, უცხოეთიდან. იგი მზად არის ყველას გაუნაწილოს საკუთარი ცოდნა და გამოცდილება. სწავლობენ, მიდიან, დამოუკიდებლად ამზადებენ „ლაღიძის წყლებს“, შემდეგ კი — მასწავლებლის სახელზე გზავნიან ბარათებს — ჩვენი ნახელავი ყველას მოსწონს, მაგრამ ისეთი მაინც ვერ არის, მანდ, თქვენი ხელმძღვანელობით რომ ვამზადებდითო. მიზეზი კი სულ მარტივია — ქართულ მიწაზე მოყვანილ ხილს თავისი განუმეორებელი თვისებები აქვს და ვინც მისგან გამონადენ წვენს ლიმონათად აქცევს, პირველობაც მას რჩება.

— იცით, — მეუბნება ქალბატონი თინათინი — წლების მანძილზე გაწეულმა დაკვირვებამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ლიმონათების დასამზადებლად ყველაზე კარგია ქარელის ალუბალი, დუშეთის შვინდი, ატენის ატაში, რაჭის კომში, აჭარისა და აფხაზეთის ლიმონი და ფორთოხალი, სამტრედიის ტყემალი...

ასე გროვდება მთელი საქართველოს მიწის ნაყოფი ნაწილ-ნაწილ, მოაქვთ აქ თბილისის უალკოჰოლო სასმელების ქარხანაში და მისგან დამზადებულ წყლებს ერთნაირი სიამოვნებით მიირთმევს ჩვენი ქალაქის სტუმარი თუ მასპინძელი. ჩაუვლი ლაღიძის წყლების მაღაზიას და სადაც უნდა გეჩქარებოდეს, გულს გაიგრილებ, დალოცავ, ვინც იგი დაწურა, ჭიქაში ჩამოგისხა.

სტუმრები, როგორც წესი, თავიანთი აღტაცების გადმოსაცემად მაობებლილებათა წიგნს მიმართავენ. მასში მხოლოდ თითქმის უველა ენაზე წერია — დიდი მადლობა ასეთი სასმელის შექმნისათვის.

ბედნიერი კაცი იყო მიტროფანე ლაღიძე, დაუფასდა ამაგი. ახლა მთელ საბჭოთა კავშირში სვამენ მისი რეცეპტით დამზადებულ ლიმონათს. გვერდში ამოუდგნენ ნიჭიერი ქართველი მოწაფეები, რომლებმაც ზედმიწევნით შეისწავლეს — „ლაღიძისეული წყლის“ საიდუმლოება. ერთი აღონებდა მხოლოდ — მემკვიდრეთაგან ვერავინ დააყენა საკუთარ კვალზე. ბოლოს ქალიშვილი თინათინი, სპეციალობით ექიმი, დაითანხმა. ეხუმრებოდა — თინათინ ქალო, ჩემთან წამოდი ქარხანაში, იქაც თეთრი ხალათით იმუშავებ, ისეთ წყალს დაგამზადებინებ, ქვეყანა განკურნოსო და იქვე დაუმატებდა —გასული საუკუნის ბოლოს ჩემს მიერ დამზადებულ „შარბათს“ ირანელი ვაჭრები ავადმყოფ შაჰს ასმევდნენო.

დაჰყვა თინათინი მამის ნებას. შემდეგ პაპის სურვილმა თორნიკეც მიიყვანა ქარხანაში. მუშიდან დაიწყო, დღეს კი საკუპაჟე საამქროს უფროსია. ესეც ბატონი მიტროფანეს ნება იყო. მხოლოდ ბეჯით შრომას, ტექნოლოგიური პროცესების ზედმიწევნით კარგად შესწავლას და, რაც მთავარია, საკუთარი ხალხის წინაშე დიდ პასუხისმგებლობას, შეუძლია შეგაქმნევინოს ყველაზე კარგი, საუკეთესო. ასე სწამდა მიტროფანე ლაღიძეს, რომელმაც ქართულ წყალს, ქართული ღვინის თანატოლი სახელი და დიდება მოუტანა. ალბათ ამიტომაც არის, რომ დღეს ლაღიძისეული ტრადიციები ასე ფესვგადგმულია ამ ქარხანაში. აქ დამზადებული ლიმონათები — „თბილისი“, „ფორთოხალი“, „ლიმონი“, „კრუშონი“ ყველას მოსწონს. ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი ვეშაპსაბერი ფლოტილიის „სლავას“ ეკიპაჟი შორეული ნაოსნობის წინ თავის გემბერედებში მხოლოდ ქართულ ლიმონათს იმარაგებს, პარტიის XXIV ყრილობის დელეგატებსა თუ სტუმრებს მხოლოდ თბილისური ლიმონათით უმასპინძლდებოდნენ და ბოლოს დეგუსტაციებზე, როგორც წესი, ჩვენს წყლებს მეტოქე არა ჰყავს.

ქარხანაში „ლაღიძის წყლების“ ლეგენდის კვალმა მიმიყვანა. მაგრამ ლეგენდაზე არც მე, არც მასპინძელს სიტყვა არ დაგვცდენია. სიმართლე გითხრათ, მეწყინებოდა კიდეც, ქალბატონ თინათინს რომ ეთქვა, ლაღიძეებს წყლის შექმნის არავითარი საიდუმლოება არ გავგაჩნიაო — დაე იცოცხლოს ლეგენდამ, ქართული მიწის სიკეთემ, ქართველი კაცის ნიჭმა და შრომამ რომ შექმნა.

თამაზ ბილიხოძე

ახალი ქართული ოპერა

კომპოზიტორთა კავშირის საოპერო-სიმფონიური მუსიკის სექციის სხდომაზე ახლახან ჩვენი რესპუბლიკის წამყვანმა კომპოზიტორებმა და მუსიკისმცოდნეებმა მოისმინეს კომპოზიტორ ფილიპე ღლონტის ახალი ოპერა „ივერიადა“.

ლიბრეტო ეკუთვნით გიორგი ლეონიძესა და ვახტანგ ტაბლიაშვილს. იგი ახახავს დიდი ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის თანადროულ საქართველოს, მის ტრაგიზმით აღსავსე ცხოვრებას.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის საოპერო-სიმფონიურმა სექციამ ფილიპე ღლონტის ახალი ოპერა „ივერიადა“ დადებითად შეაფასა.


„გელის ტბა“ თეატრში

თეატრის რუდაქის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე დიდი წარმატებით გაიმართა ჩაიკოვსკის ბალეტის „გედის ტბის“ პრემიერა. სპექტაკლი დადგეს ქორეოგრაფიის სახელმოხვეჭილმა ოსტატებმა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ვახტანგ ჭაბუკიანმა და საქართველოს სახალხო არტისტმა ვერა წიგნაძემ.

ბალეტი „გედის ტბა“ პირველად დაიდგა ირანის სცენაზე. იგი მხურვალედ მიიღო მაყურებელმა.

ნუმიზმატიკის ახალი განძი

დუშეთის რაიონის სოფელ ჟინვალის მცხოვრებმა ნიკა ჯარიაშვილმა ტყის პირას ხვნისას ორი პატარა თიხის ჭილა დაამსხვრია. მასში ასამდე ვერცხლის მონეტა აღმოჩნდა. მალე იმავე ადგილზე კიდევ 29 ასეთი მონეტა იპოვეს. ნაპოვნ განძს დიდი მხიშვნელობა აქვს ქართული ნუმიზმატიკის ისტორიისათვის. ყველაზე „ახალი“ მონეტა 1333 წლით თარიღდება და საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხანას ემთხვევა.



ფერეიდნელთა ნაჩუქარი თასი

საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ნესტორ ჩხეტიარაშვილი.

რა თქმა უნდა, მესამე ადგილი ტურნირში, რომელშიც სულ ხუთი გუნდი მონაწილეობდა, თბილისის „დინამოსათვის“ სამაყო როდია, მაგრამ სპორტი სპორტია და დამარცხებისაგან არავინ არის დაზღვეული.

წარუმატებლობის მიუხედავად, ირანში მოგზაურობამ ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. თითოეული ჩვენგანი ძალზე აღელვდა და გაახარა ფერეიდნელ ქართველებთან შეხვედრამ. ათი დღის განმავლობაში ჩვენს გუნდს, სახტუმრო იყო ეს, მწვანე მინდორი თუ ქალაქის ქუჩები, განუწყვეტლად დაჰყვებოდა 10-15 ფერეიდნელი, ასე გამართულად რომ მეტყველებდნენ დედა ენაზე თავლებში რომ შემოგვკეროდნენ და ამაზე ფიქრობდნენ — აბა რით გასიამოვნონთ, როგორ გიმასპინძლონო. ჩვენი გამარჯვება აბარებდათ, წაგება გულს სწყვეტდათ, მაგრამ არ იმწყვდნენ, კვლავ გადიმებული სახეებით გვხვდებოდნენ, კვლავ ჩვენთან ყოფნას ესწრაფოდნენ. განსაკუთრებით ბევრი მეგობარი გაუჩნდა ვახტანგ ჭელიძეს, სლავა მეტრეველს, სერგო კუტიაძეს, მურთაზ ხურცილავას...

როგორც წესი, ფერეიდნელი ქართველები თავს ქართული სახელითა და გვარით გვაცნობდნენ, თუმცა მათ პასპორტებში ირანელებისათვის უფრო ადვილად წარმოსათქმელი სახელები და გვარებია ჩაწერილი.

საუბარი ყოველთვის „დიდ სამშობლოს“ — საქართველოს ეხებოდა. აინტერესებდათ ყველაფერი — რას ვთესავთ და რა მოგვყავს, როგორ და რას ვასწავლით ბავშვებს სკოლაში, რა ჰქვიათ და რა სახელებს ატარებენ ისინი, როგორია თბილისი და როგორია სოფლები, მათ წინაპრებს რომ უცხოვრიათ...

თავიანთ შესახებაც ბევრს გვიყვებოდნენ. ვერ ვიტყვით, რომ ულხინდათ. განათლება ძალიან ცოტას აქვს მიღებული, მაგრამ, რაც მთავარია, თაობიდან თაობაზე გადადის სამშობლოსთან, საქართველოსთან შეხვედრის სურვილი.

მამებს ჩვენთან გასაცნობად ხშირად შვილებიც მოჰყავდათ. ნორჩი ფერეიდნელებიც კარგად ლაპარაკობდნენ ქართულად. მათ თვალებშიც შორეული სამშობლოს დიდ სიყვარულს ვკითხულობდით.

დადგა განშორების დღეც. ჩვენს გასაცილებლად თითქმის ოცზე მეტი ფერეიდნელი ქართველი მოგროვდა. მხიარულება, სიცილი სადღაც გაქრა, ჩვენც და მათ სევდა დაგვეუფლა. სტუმარმასპინძლობის წესის თანახმად ერთმანეთს ჯანმრთელობა და მრავალწლის შეხვედრა ვუსურვეთ. შემდეგ კი მოხდა მეტად ამაღელვებელი რამ: თანამემამულეებმა ვერცხლის თასი გადმოგვცეს. საჩუქარზე მიკრულ ქაღალდზე კი საკუთარი ხელით მიეწერათ: „იდიდე საქართველოვ! სახსოვრად თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს ფერეიდანის, ირანში მცხოვრები ქართველებისაგან. II. 6. 1971.

„მეგობრობის თასი“ რომ ვერ მოვიპოვეთ, ეს ამბავი უკვე ნაკლებად გვწუხებდა გულს. ჩვენ ხომ შინ ფერეიდანში მცხოვრებ გოგოჩაშვილების, ბერიკაშვილების, ბაჩიაშვილების ნაჩუქარი, ყველა ქართველისათვის ასე ძვირად ღირებული თასი მოგვქონდა...



სურათზე: გარღვევაზეა შოთა იამანიძე.

მოკლედ

ვიცეჩემპიონი

სოფიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე თბილისელმა ძალოსანმა დიტო შანიძემ ვიცეჩემპიონის სახელი მოიპოვა და ვერცხლის მედალი დაიმსახურა. მან სამჭიდში 395 კილოგრამი გვიჩვენა. იგი მხოლოდ ორნახევარი კილოგრამით ჩამორჩა პოლონელ ვოინოვსკის.

კვლავ ღამარცხება

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა ორი მატჩი გამართეს საკუთარ მოედანზე. მათ ანგარიშით 2:1 დაამარცხეს ლენინგრადის „ზენიტი“, ხოლო მოსკოვის „დინამოსთან“ თვითონ დატოვეს მოედანი დამარცხებულებმა. სტუმრების მიერ გატანილ 2 ბურთს ჭართველმა ფეხბურთელებმა ვერაფრით უპასუხეს.

მომდევნო სეზონში ეს „დინამოს“ მეოთხე დამარცხებაა და, რაც ყველაზე გულდასაწუხეტია, — ოთხივე საკუთარ მოედანზე.

შინ საჭართველოს უპირველეს გუნდს ასე სუსტად არასოდეს უთამაშია.

ვარსკვლავების კაპიტანი

ფეხბურთის მარშის ცეცხლოვანი ჰანგები, მაყურებელთა აღტაცებული შეძახილები... მწვანე მინდორზეა თბილისის დინამო: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, ჯემალ ზეინკლიშვილი, მურთაზ ხურცილავა, გიორგი სიჭინავა, ილია დათუნაშვილი, ზაურ კალოევი, ვლადიმერ ბარქაია, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი... ერთი სიტყვით, ეროვნული ფეხბურთის სიამაყენი, რომელთაც წინ მიუძღვის ხანგრძლივი და გულღია ვაუკაცი, ვარსკვლავების კაპიტანი შოთა იამანიძე. ამ ახალგაზრდას შეუძლია ბრძოლის ყინით აღაგზნოს მეგობრები. იგი დიდებული რეჟისორია და მისი ვარსკვლავები ახლა შესანიშნავ, დაუვიწყარ საფეხბურთო სპექტაკლს გაითამაშებენ...

თბილისში. პლეხანოვის გამზირს ერთი პატარა ქუჩა კვეთს. ამ ქუჩაზე არის ახლად პაწია ეზო, სადაც შოთამ აიდგა ფეხი და ფეხბურთის თამაში დაიწყო. ძალიან კარგადაც თამაშობდა, მაგრამ მშობლები როდი იწონებდნენ მის გატაცებას. ამიტომ, როდესაც შოთამ 35-ე სპეციალიზებულ საფეხბურთო სკოლაში სწავლის სურვილი გამოთქვა, დედ-მამა აღტაცებული არ შეხვედრია შვილის არჩევანს.

შოთა მაინც მივიდა ამ სკოლაში, მაგრამ უკვე მერვე კლასში. ამგვარი მწვრთნელების არჩილ კოკნაძის, მიხეილ ბერძენიშვილის, ოტია უორდანიას, ვარლამ შავდიასა და სხვათა ხელში ფეხბურთელებად იზრდებოდნენ მიხეილ მესხი, სერგო კოტრიკაძე, ავთანდილ ჭკუასელი, ავთანდილ ხელაძე, ზაურ კალოევი, შოთა იამანიძე... თუმცა, უფრო მართებული იქნებოდა, შოთა იამანიძე თავდაპირველად მოგვეხსენებინა, როგორც ამ სკოლის ნაკრები გუნდის კაპიტანი. მეგობრებს თავიდანვე უყვარდათ იგი საზრიანობისათვის, სიმართლისათვის, პრინციპულობისათვის, ერთგულებისათვის და იმ მაგიური ძალისათვის, რომლითაც შეეძლო გუნდი გამარჯვებებით ეტარებინა. ამიტომაც იყო, რომ ასე ხშირად ირჩევდნენ მას თავიანთ წინამძღოლად რესპუბლიკისა თუ საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრები გუნდების კაპიტნად.

1954 წელს თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელმა ბორის პაიჭაძემ თავისთან წაიყვანა შოთა. იმავე წელსიწყებ შედგა მისი დებიუტი სანატრელ გუნდში. ეს ის დრო იყო, როდესაც პაიჭაძის თაობა ბიძიოდა და ეროვნული ფეხბურთის ჭაპანს ვაუკაცურად ეწეოდა მწვანე მინდვრის კეთილშობილი რაინდი ავთანდილ ღოღობერიძე, ფეხბურთელი, რომელიც იყო და დარჩა შოთა იამანიძის კერპად.

1959 წლის დეკემბერი. თბილისის „დინამო“ პარიზში ჩავიდა. თავდაპირველად ამ ვიზიტს ფეხბურთის ადგილობრივი მოყვარულნი გულგრილად შეხვდნენ. მაგრამ მოხდა ის, რასაც ფრანგები არ მოელოდნენ — თბილისის „დინამომ“ პარიზის „რესინგი“ 6:2-ით გაანადგურა. იქაური პრესა ქებათა-ქებით იხსენიებდა ავთანდილ ღოღობერიძეს, სერგო კოტრიკაძეს, ვლადიმერ ბარქაიას, შოთა იამანიძეს. მესხი!.. მესხი!.. იძახდნენ ქართველი გარემარბის ოსტატობით მოხიბლული ფრანგები. ფეხბურთის იქაური მოთავეები საგონებელში ჩავარდნენ. მერე უკიდურეს ზომას მიმართეს და, როცა „რეიმსმა“ ერთი ბურთით „მოუგო“ „დინამოს“, მათ თბილისელებს ბოდიში მოუხადეს ცუდი მსაჯობისათვის. ქართველებმა წყენა არ შეიმჩნიეს და ჯავრი „ნიმთან“ იყარეს: საფრანგეთის ჩემპიონის კარში ორი მშრალი ბურთი გაიტანეს.

ფეხბურთის გამარჯვების სიხარულთან ერთად დამარცხების სიმწარეც ახლავს. დაუმარცხებელი გუნდები არ არსებობენ. მაგრამ დამარცხებაც არის და დამარცხებაც. აბა გაიხსენეთ 1960 წლის გვიანი შემოდგომა, თასის გათამაშების ფინალში ერთმანეთს ხვდებოდნენ თბილისის „დინამო“ და მოსკოვის „ტორპედო“ და თუმცა იმ დღეს თბილისელები დამარცხდნენ, მაგრამ ეს იყო მათი ერთერთი უბრწყინვალესი თამაში.

ისე კი იმ წლებში „დინამო“ უფრო ხშირად იმარჯვებდა. ის რა თამაში იყო, სამ ბურთზე ნაკლებს თუ გაიტანდნენ. „ტორპედოს“ ჯავრი მეორე წელსვე იყარეს, ექვსჯერ შეარხიეს თბილისელებმა მეტოქის კარი. სამი ბურთი მარტო ჩვენი გუნდის კაპიტანმა შოთა იამანიძემ გაიტანა.

მეგობრები მას იმედით შესცქეროდნენ. თვითონაც როგორ არ ეგრძნო ლაღად თავი, როცა კარში სწორუპოვარი სერგო კოტრიკაძე იდგა, კარის მისადგომებს კი მუხასავით გამაგრებული გივი ჩოხელი იცავდა. მარცხენა ფრთიდან მიხეილ მესხი მოქროდა. გაოგნებული მოწინააღმდეგე გონს ვერ მოსულიყო, რომ ბურთი კარის გასწვრივ მიფრინავდა და ჰაერში აფრენილი ზაურ კალოევი კიდევ ერთხელ ამეორებინებდა დიქტორს ასე ტკბილად მოსასმენ სიტყვებს — ბურთი ბადეშიაო!

ვისაც შოთას თამაში უნახავს, იმასაც გაიხსენებს, როგორ ატარებდა იგი ბურთს, მთელ მოედანს გადაკვეთდა და ზოგჯერ ისე აუბნევდა გზაკვალს მცველებსა და მეკარეს — ბურთიანად შედიოდა კარში.

როცა დიდი ფეხბურთიდან ავთანდილ ღოღობერიძე წავიდა, კაპიტნობა შოთამ ჩაიბარა.

„დინამო“ კვლავ ზედიზედ იმარჯვებდა და ბედმა 1964 წელს ისევ „ტორპედოს“ შეახვედრა. იმ წელსიწყებ ორივე გუნდმა თანაბარი ჭულა დააგროვა და ქვეყნის ჩემპიონი მათ შორის ტაშკენტში გამართულ დამატებით მატჩს უნდა გამოევლინებინა.

გამარჯვების წუყარვილი ისეთი იყო, როგორც არასდროს. თავდაპირველად ტორპედოელები დაწინაურდნენ. შემდეგ ილია დათუნაშვილმა კუთხურიდან მოწოდებული ბურთი პირდაპირ კარის ბადეში გაახვია და ანგარიში გაათანაბრა. გამარჯვების იმედით აღვსილმა ვლადიმერ ბარქაიამ ბურთს ხელი დაავლო, ნაჩქარად მოედნის ცენტრში დადო და მოწინააღმდეგეს შესთავაზა: აბა, ახლა ვითამაშოთო. და ითამაშეს. ზედიზედ კიდევ სამი ბურთი გაიტანეს ტორპედოელთა კარში. ტაშკენტში ქვეყნის ყოველი კუთხიდან ჩამოსული მაყურებელი მჭუხარე ოვაციებით ესალმებოდა საბჭოთა კავშირის ახალ ჩემპიონს, რომელიც საპატიო წრეს უვლიდა სტადიონზე. ეს იყო ქართული ფეხბურთის ისტორიაში უველაზე სანეტარო პერიოდი. გუნდს ბედნიერი კაპიტანი შოთა იამანიძე მიუძღვოდა.

თუ გინდა გულშემატკივარმა აუგად არ გახსენოს, დიდი სპორტი დროულად უნდა დატოვო, მაშინ, როცა ჯერ კიდევ შეგიძლია თამაში, როცა შენი ბრწყინვალება ჯერ კიდევ არ ჩამქრალა. და თუმცა ძნელია ასეთი გადაწყვეტილების მიღება—შოთამ ეს შეძლო. იგი სრულად ახალგაზრდა გაეყარა ფეხბურთს. ორიოდე წლის წინათ დაასრულა დიდი სპორტული კარიერა და ახლა იმ საქმეს მისდევს, რომელიც ფეხბურთთან ერთად **აირჩია და იქნებ არანაკლებ შეიყვარა — № 27 მოძრავ-მექანიზებული სამშენებლო კოლონის მმართველს ზღვა საქმე აქვს. იმოდენა სათბურებს აშენებს, რომ მალე მთელი ზამთარი თბილისსა და რუსთავს გამოულევლად ექნება კიტრი და პამიდორი. თუ როგორი ინჟინერია შოთა, ამაზე მისივე აგებული შენობები ლაპარაკობენ. მე კი ერთი ცნობილი მშენებლის, თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პრორექტორის ჯარლო მორეტის სიტყვებს მოვიშველიებ: ინსტიტუტის ლაბორატორიები მხოლოდ და მხოლოდ შოთა იამანიძემ უნდა ააგოსო.**

და კიდევ ერთი: შოთას ჰყავს მშვენიერი ცოლ-შვილი. ირინე მეორეკლასელია. დათო კი ექვსი წლისაა და, რასაკვირველია, ფეხბურთს თამაშობს.

გაივლის წლები. დათო დავაჟკაცდება. ვინ იცის, იქნებ „ხტომა დაიწყოს ჯიცმა გვარზე“. თუ არა, საამაყოდ ისიც ეყოფა, რომ მისი მამა შოთა იამანიძე ჭართული ფეხბურთის ერთერთი კაშკაშა ვარსკვლავი იყო.

ჯემალ ჟურხული

„სამშობლო“ სპორტი — 71
„სამშობლო“ სპორტი — 71

ფოტოინფორმაცია



ქ ი დ ე ვ ერთმა მრავალსართულიანმა სახლმა დაამშვენა თბილისი. პლეხანოვის გამზირზე აღმართულ ამ შენობაში სატრანსპორტო ნაგებობათა დამპროექტებელმა ამიერკავკასიის სახელმწიფო ინსტიტუტმა გადაიხადა ახალსახლობა დიდი ზეიმის დღეებში.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო

ფოტოინფორმაცია



ს ი მ ღ ე რ ა სიჭაბუკის თანამგზავრია, ამიტომ თუ მომრავლდა ჩვენში ახალგაზრდულ-საესტრადო ანსამბლები. ბევრმა მათგანმა კეთილი სახელი მოიხვეჭა. ერთ-ერთი ასეთია სტუდენტური ანსამბლი — „თბილისის ცისკარი“, რომელიც მხოლოდ მესამე წელიწადია არსებობს და უკვე მოასწრო მსმენელთა მოხიბლვა.

ანსამბლის წევრები — სოსო კასრაძე, თემურ მახარაძე, თემურ მაღრაძე თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები არიან; ზურაბ კობეშავიძე, თამაზ გაბუნია, თემურ ამირანაშვილი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობენ; კოტე სიმონიშვილი თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტია. ეს ჰაბუკები ისეთივე ჩინებული სტუდენტები არიან, როგორიც ქართული და მსოფლიოს ხალხთა საესტრადო სიმღერების შემსრულებლები.

ქართული კალენდარი

ნელიწადის ყოველი თვე ბევრ ისეთ ფაქტთან არის დაკავშირებული, რომელიც ალამაზებს ერის ისტორიას. მათი გახსენება და აღნიშვნა გვეამაყება. ამ მხრივ არც ივლისია გამონაკლისი.

დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ 4 ივლისს 50 წელიწადი სრულდება საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტის მიერ რესპუბლიკაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ დეკრეტის მიღებიდან.

● 10 ივლისს შესანიშნავი კომპოზიტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი რევაზ ლაღიძე 50 წლისა გახდება. მსოფლიოში, ალბათ, იშვიათია ქვეყანა, ჩვენი მამულიშვილის სიმღერა „თბილისო“ არ მოესმინოთ.

ნიჭიერ ხელოვანს დიდხანს სიცოცხლესა და შემოქმედებით გამარჯვებას უსურვებს „სამშობლოს“ რედაქცია და გაზეთის მრავალრიცხოვანი მკითხველი.

● წლეულს, ივლისში, აღინიშნება გამოჩენილი ისტორიკოსის, გეოგრაფ-კარტოგრაფის, ლექსიკოგრაფისა და მთარგმნელის ვახუშტი ბაგრატიონის (ბატონიშვილის) დაბადების 275 წლისთავი.

● 15 ივლისს დაბადების 60 წლისთავი უსრულდება ქართველ პოეტს ალექსანდრე გომიაშვილს.

● 16 ივლისს დიდ იუბილეს გადაიხდის მზიური აჭარა. 50 წლის წინათ — 1921 წლის 16 ივლისს შეიქმნა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

● 18 ივლისი მეტალურგის დღეა. სხვებთან ერთად იზეიმებენ ქართველი მეფოლადეებიც. ეს გასაგებია — ამ საქმის ცოდნა და სიყვარული ჩვენს ხალხს ხომ საუკუნეების სიღრმიდან მოჰყვება.

● 125 წლის წინათ, 1846 წლის 23 ივლისს, აღმოაჩინეს ჭიათურის მანგანუმის საბადო.

● 25 ივლისს მივულოცავთ და შემდგომ წარმატებებს ვუსურვებთ საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და ვაჭრობის მუშაკებს.

● 110 წლის წინათ, 1861 წლის 26 ივლისს, დაიბადა სასიქადულო ქართველი პოეტი ვაჟა-ფშაველა.

● 30 ივლისს კი დაბადების 75 წლისთავი უსრულდება ქართველ საბჭოთა მწერალს პარმენ ლორიას.

ქართული სამზარეული

კაკლის მურაბა

ა ს ი ც ა ლ ი საშუალო სიდიდის კაკალი (კაკლის ხის წენგოიანი უმწიფარი ხაყოფი) გაფცქვენით — თხლად მოაშორეთ ქერქი და ჩაყარეთ შესაფერ ჭურჭელში. სამ დღეს წყალში გააჩერეთ, ყოველდღიურად სამჯერ უცვალეთ წყალი. მეოთხე დღეს წყალი გადაღვარეთ, კაკალი კარგად გარეცხეთ ცივი წყლით. შემდეგ თითოეული კაკალი წვრილი ჩხირით დაჩხვლიტეთ ადგილ-ადგილ, ჩაყარეთ ჭურჭელში, დააყარეთ ხუთასი გრამი კირი, დაასხით იმდენი წყალი, რომ დაფაროს, კარგად აურიეთ და გააჩერეთ შიგ სამ დღე-ღამეს. ხანგამოშვებით ურიეთ, რომ კირი კარგად გაუჯდეს. მესამე ან მეოთხე დღეს ერთი კაკალი გაჭერით შუაზე, თუ გული მოწითალო ფერისა იქნება, მაშინ კირში გაჩერება აღარ არის საჭირო, თუ გული თეთრია, დაუმატეთ ასი გრამი კირი და გააჩერეთ შიგ კიდევ ერთ დღე-ღამეს. რამდენჯერმე ურიეთ. ამის შემდეგ კაკალი კარგად გარეცხეთ გამდინარე წყლით, რომ კირი არ შეჰყვეს. გარეცხილი კაკალი ჩაყარეთ შესაფერ ჭურჭელში, კვლავ დაასხით ცივი წყალი და სამ დღეს გააჩერეთ, ოღონდ დღეში სამჯერ უცვალეთ წყალი. მეოთხე დღეს კაკალი ჩაყარეთ მდუღარე წყალში და ხარშეთ თხუთმეტ წუთს, შემდეგ წყალი გადაღვარეთ. სუფთა ქვაბში ჩაასხით წყალი, აადუღეთ, ჩაყარეთ შიგ ერთი სუფრის კოვზი შაბი, კაკალი და ადუღეთ თხუთმეტ წუთს. შემდეგ წყალი გადაღვარეთ და კაკალი გადაიტანეთ თუშფალანგში. ქვაბში ჩაასხით მდუღარე, ჩაყარეთ შიგ კაკალი, ადუღეთ ხუთ წუთს და გადაიტანეთ თუშფალანგში. სუფთა ქვაბში კვლავ ჩაასხით მდუღარე წყალი, ჩაყარეთ ერთი ჩაის ჭიქა ფხვნილი შაქარი, მოათავსეთ შიგ კაკალი და ნახევარ საათს ადუღეთ, შემდეგ წყალი გადაწურეთ და კაკალი გადაიტანეთ თუშფალანგში. სუფთა ქვაბში ჩაასხით ცხრა-ათი ჩაის ჭიქა წყალი, ადუღებისთანავე ჩაყარეთ ორი კილოგრამი შაქარი, აადუღეთ, ჩაყარეთ შიგ კაკალი და ხარშეთ შემზადებამდე. ხარშვისას ჩაუმატეთ პატარა სუფთა ტილოს პარკში მოთავსებული დანაყილი დარიჩინი (ერთი ჩაის კოვზი), მიხაკი (ათი მარცვალი), ილი (ხუთი ცალი) და ხარშეთ, სანამ კაკალი მზად არ იქნება. მზა მურაბას ცეცხლიდან გადმოღებისას ჩააყარეთ თქვენს გემოზე ვანილინი.

თამარ სულაქველიძე

დაგემგებენ, მოგველიან

ფიდა გიორგის ძე ალადაშვილს,

დაბადებულს 1915 წელს წითელი წყაროს რაიონის სოფელ არბოშიკში, ეძებენ და — **ელენე,** ძმა — **თარიმან ალადაშვილები,** მცხოვრებნი სოფელ არბოშიკში.

ალექსანდრე სოლომონის ძე ჰანტურიას,

დაბადებულს 1910 წელს აბაშის რაიონის სოფელ ძველ აბაშაში, ეძებენ ძმა — **ფილიმონ,** დები — **ლუბა, ქსენია,** ძმისწულები — **ნუნუ, ამირან, ნელი, ნაზი ჰანტურიები,** მცხოვრებნი სოფელ ძველ აბაშაში.

ალექსანდრე ლუკას ძე იმნაძეს,

დაბადებულს 1919 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ გვიმბლაურში, ეძებენ დედა — **მარიამ,** დები — **ნინო, ჭეთო,** ძმა — **მელიტონ,** ძმისწული — **ნოდარ იმნაძეები,** მცხოვრებნი ქალაქ ბათუმში, სვერდლოვის ქუჩა № 3, ბინა № 23.

კონსტანტინე სოლომონის ძე ბახიას,

დაბადებულს 1905 წელს ხობის რაიონის სოფელ პირველ გურიფულში, ეძებენ მეუღლე — **ლუბა,** შვილები — **იური, რუბენ, ნელი** (გულნარა), **კლარა** და **ლიანა ბახიები,** მცხოვრებნი სოფელ პირველ გურიფულში.

კარლო სამსონის ძე ენუქიძეს,

დაბადებულს 1922 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ ქვემო სხვავაში, ეძებენ და — **კლარა,** ძმა — **შამილ ენუქიძეები,** მცხოვრებნი თბილისში, ზემო ვეძისს I ჩიხი № 6.

ვალერიან ილარიონის ძე მეტრეველს,

დაბადებულს 1913 წელს ონის რაიონის სოფელ სომიწოში, ეძებენ დედა — **ივლიტა,** ძმა — **ალექსანდრე მეტრეველები,** მცხოვრებნი თბილისში, პარტიზანის ქუჩა № 21.

ვლადიმერ თედოს ძე დორეულს,

დაბადებულს 1910 წელს გარდაბნის რაიონის სოფელ წავკისში, ეძებენ მეუღლე — **ეკატერინე,** შვილები — **თამარ, ჟუჟუნა, რამაზ,** ძმა — **ვასო,** ძმისწული — **დავით,** დები — **ოლია, თამარ დორეულები,** მცხოვრებნი სოფელ წავკისში.

პავლე პეტრეს ძე ხითარიშვილს,

დაბადებულს 1919 წელს დაბა მაიაკოვსკში, ეძებენ მამა — **პეტრე,** დედა — **ელენე,** მეუღლე — **მარგო,** შვილი — **ჯუმბერ,** რძალი **ლამარა,** შვილიშვილები — **პალიკო** და **ბელა ხითარიშვილები,** მცხოვრებნი მაიაკოვსკში, რუსთაველის ქუჩა № 106.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება და გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია თანაუგრძნობენ საფრანგეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეს, ჩვენი გაზეთის აქტიურ მკითხველსა და კორესპონდენტს ბატონ იოსებ გოგოლაშვილს მეუღლის

ელისაბედ (ზიზი) ნატროშვილ-გოგოლაშვილის

გარდაცვალების გამო.

ფოტოინფორმაცია

მომღერალი საათების ოსტატი

ა რ ი ა ნ მოუსვენარი აზრის ადამიანები. ისინი დღე-ღამეს ასწორებენ, ეძებენ, პოულობენ, ქმნიან და ამას აკეთებენ ხალხისათვის, ყოველგვარი ჯილდოსა და სასყიდლის გარეშე.

აი ჩვენს წინ დევს თვითნაკეთი საათი. მისთვის ავტორს „საბჭოთა ადამიანი კოსმოსში“ შეურქმევია. პლასტმასის ჩარჩოში ჩვეულებრივი სამაგიდო საათია ჩადგმული, რომლის ფონზე პირველი საბჭოთა კოსმონავტის იური გაგარინის სურათია. დაბლა კრემლის გამოსახულებაა. აქვე ჩანს დედამიწა და კოსმოსური ხომალდი „აღმოსავლეთ-1“. საკმარისია ღილაკს ხელი დააჭირო და ხომალდი მოძრაობას იწყებს.

ამ არაჩვეულებრივი საათის შემქმნელია ალექსანდრე ვაშაძე. თავისი ნახელავი მან გმირ კოსმონავტებს — იური გაგარინსა და გერმანე ტიტოვს უძღვნა.

მადლიერმა კოსმონავტებმა ქართველ მესაათეს უსახსოვრეს თავიანთი ფოტოსურათები და გამოუგზავნეს ბარათი: „გმადლობთ, პატივცემულო ვაშაძე იმ გულითადი მოლოცვის, კეთილი სურვილებისა და ორიგინალური საჩუქრისათვის, რომლებიც ჩვენ გამოგვიგზავნეთ“.

ისმის ფეხბურთის ნაცნობი მარში. სერგო კოტრიკაძე ბურთის მისაღებად მომზადებულა. ხან ერთ მხარეს გადაიხრება, ხან მეორეზე. მარჯვე ოსტატს კარგად მიუგნია ის მთავარი, რაც მეკარისათვის არის დამახასიათებელი და საათის მექანიზმში ფილიგრანული ოსტატობით ჩაურთავს, ციფერბლატზე კი იმ ქართველ ფეხბურთელთა სურათებია, 1964 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა რომ მოიპოვეს.

სამოცამდე ასეთი მომღერალი საათი გაუკეთებია ალექსანდრე ვაშაძეს. საყურადღებოა მისი ნამუშევრები „კოლხეთი“, „თბილისი“, „მტრედები“, „რუსთაველი“.

ექვსი თვის დაძაბული შრომის შემდეგ ხელმარჯვე ოსტატმა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის შენობის ვეებერთელა საათიც აამღერა. დედაქალაქის მთავარი საათი რევაზ ლაღიძის ცნობილი სიმღერის „თბილისის“ შესავლით გვამცნობს ზუსტ დროს.

ალექსანდრე ვაშაძემ ეს სამუშაო უსასყიდლოდ შეასრულა და, როგორც თვითონ განაცხადა, ეს არის მისი შრომითი საჩუქარი მშობლიური თბილისისადმი.

ჯემალ ჯიქიძე

რედაქტორი

ვახტანგ ესვანჯია

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488

ფასი 5 კაპ.